სპორტული

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 ივლისი 2004 №153 (2174) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი

გუშინ ათენში გაიმართა ევრო 2004-ის ყველაზე დიდი და მთავარი შეხვედრა: ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები და დაუჯერებელი სიხარულით გაოგნებული ბერძენი ხალხი

23 დღის წინ ბერძენმა ხალხმა გაიხარა, მერე ეს სიხარული დღითიდღე იზრდებოდა და გუშინწინ ოლიმპოს მთის მწვერვალს მიაღწია. კიდევ კარგა ხანს არ ჩამოვა იქიდან.

და მერე ჩვენ ამით რა? ის, რომ დარდი მოგვემატა. პორტუგალიელები რომ დარდობენ, ისეც არა, მაგრამ მაინც...

იმის თქმა გვსურს, რომ საბერძნეთის ნაკრებმა ჩვენ, უფრო სწორად კი ქართული ფეხბურთის მამებს დაანახა, რომ საშუალოზე უკეთეს, მაგრამ ნაღდად არავარსკვლავ ფეხბურთელებს ჩვენთვის ასე ნანატრი და საოცნებო შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა კი არა, ჩემპიონობა, დიახ, **ჩემ-პი-ო-ნო-ბა** შეუძლიათ და საბოლოოდ გაცამტვერდა სულულური მითი სულელებისთვის, აქაოდა, საქართველოს ნაკრებს ღირსეულად თამაში და ჯგუფიდან გასვლა ჯერ სად შეუძლია, რა დროს ჩვენი წარმატებაა, რადგანო... მოკლედ, ბევრი მიზეზი მოჰყავდათ.

არადა, როგორ დავიჯეროთ, კალაძე, ხიზანიშვილი, იაშვილი, კობიაშვილი, არველაძე და მათი მეგობრები დიდად ჩამოუვარდებიან ბერძენ ფეხბურთელებს, უკეთესები თუ არ არიან.

და თუ ასეა და გვჯერა, რომ ასეა, მაშინ ვინ არის დამნაშავე, რომ საქართველოს ნაკრებს სჭირს ის, რაც სჭირს?

ვის გადაგვაყოლეთ ამდენი წელი?!

უზბეკები ლოკომოტივს ნაკრებით გამოცდიან

თბილისის „ლოკომოტივი“ 26 ივლისს უზბეკეთს გაემგზავრა, ტაშკენტის მახლობლად დაბინავდა და ამხანაგური მატჩებიც დაგეგმა. საახალსეზონოდ გუნდი მხოლოდ ერთმა ფეხბურთელმა, არჩილ სახვაძემ დატოვა. გუშინ კი კლუბის მმართველ დირექტორს ლევან ყიფიანს უზბეკეთში შევეხმიანეთ...

ზაზა ლაცაბიძემ „ლოკომოტივში“ დაბრუნება უზბეკური გოლით აღნიშნა

— ტაშკენტთან ახლოს, სპორტულ ცენტრში დავბინავდით. პირობები არ არის დასაწუნი, ერთადერთ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება სიცხე დავასახელოთ, თუმცა აქ ფიზიკურ კონდიციებზე აქცენტს ნაკლებად ვაკეთებთ, ამას თბილისში დაბრუნების შემდეგ მივხედავთ. ყურადღება საკონტროლო თამაშებზე გვაქვს გადატანილი. უზბეკეთში 25 ფეხბურთელი წამოვიყვანეთ. შესათამაშებლად ამხანაგური მატჩები აუცილებელია. მანამდე კი მშვენიერი ხარისხის მოედნებზე დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ.

— ვისთან ითამაშებთ ამხანაგურებს?

— უზბეკეთის ახალგაზრდული ნაკრების შემდეგ, 10 ივლისს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ვეთამაშებით. შემდეგ კი უზბეკური საკლუბო ფლაგმანები — „ლოკომოტივი“ და „ფახთაქორი“ იქნებიან ჩვენი მეტოქეები. ფეხბურთელებს მოსამზადებლად მშვენიერი პირობები შევუქმენით. ამაში უდიდესი როლი ჩვენმა ახალმა მეპატრონემ, „აბრეშუმის გზამ“ შეასრულა.

— **გუნდს შეკრებაზე რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი წაჰყვა, რომელთა საბოლოო ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო...**

— უკვე შევუთანხმდით ძველ ლოკომოტიველებს — ზაზა ლაცაბიძე, როინ ონიანი და დავით ბაქრაძე ახალი სეზონიდან ისევ ჩვენს გუნდში ითამაშებენ. წნორის „მილანიდან“ გადმოვიყვანეთ მედოევი. დაინტერესებული ვართ ირაკლი ვაშაკიძის გუნდში დატოვებით.

— **უზბეკეთში ლეგიონერებს ხომ არ გასინჯავთ?**

— შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ გუნდის დაკომპლექტება ფაქტობრივად დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, უზბეკეთში არავის გავსინჯავთ.

გუშინ „ლოკომოტივმა“ ტაშკენტში უზბეკეთის ახალგაზრდულ გუნდთან პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და ფრედ — 2:2 ითამაშა. ლოკომოტიველები 2:0-ს იგებდნენ, თუმც მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მსაჯმა მეკარე ზურაბ ბათიაშვილი გააძევა, რითაც მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს. „ლოკომოტივიდან“ გოლები ზაზა ლაცაბიძემ და ვალერი გაგუამ გაიტანეს „ლოკომოტივის“ შემადგენლობა ასეთი იყო:

ბათიაშვილი; ხუბუტია, ვაშაკიძე, ბაქრაძე, გ. ონიანი; რ. ონიანი, ლაცაბიძე (მანწკავა), სანიკიძე (მედოევი), ქებაძე; გაგუა (ბესარაშვილი), სირბილაძე (ბობლიაშვილი)

დავით ერაძე

რეინჯერსს მლადენოვიჩი წაიყვანს ჩაფრენის ფეხებს მაკლიშიც უფრთხილდება

გუშინ საახალსეზონოდ პირველად შეიკრიბა და ივარჯიშა „გლაზგო რეინჯერსმა“. გუნდთან ერთად არიან ჩვენებურებიც — შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი.

„რეინჯერსის“ შემდგენლობა მკვეთრად გადახალისდა და დამდეგ სეზონში ალბათ უწინდელზე ერთობ განსხვავებულ გუნდს ვიხილავთ. რეინჯერსული ამბები არველაძეს გამოვკითხეთ

— მე გუნდთან ერთად არ მივარჯიშია, ცალკე, ექიმის მეთვალყურეობით ვივარჯიშე. ჩვენმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა კი გვითხრა, ფეხებს გაუფრთხილდით, წინ რთული სეზონი გველისო. მეც ორჯერადი ვარჯიშები მაქვს — დილით სირბილი, საღამოს ტრენაჟორები.

— **„რეინჯერსიდან“ საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი წავიდა...**

— ძმები დე ბურები, მოლსი, ემერსონი, კაპუშუ, ბერგი, ნერლინგერი და მალე ალბათ მიკელ არტეტაც დატოვებს „რეინჯერსს“ — ის „სოსიედადში“ აპირებს გადასვლას.

— **ახალწვეულებიდან ყველა დაესწრო პირველ ვარჯიშს?**

— ფრანგი მცველი ბომსონგი, „დანდიდან“ წამოსული ესპანელი შემტევი ნაჩო ნოვო და ხორვატი ფორვარდი დადო პრსოც აქ არიან. თუმც პრსო ერთი კვირა მოიცდის და ვარჯიშს მერე განაახლებს — მან ხომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და დასვენება სჭირდება.

— **სერბი ახალწვეული დრაგან მლადენოვიჩი ჯერ არ ჩანს?**

— პირველ ვარჯიშზე არ ყოფილა და ალბათ მალე შემოგვიერთდება. მლადენოვიჩზე ამბობენ, ისეთი ნახევარმცველია, რომ გუნდის თამაშს ეგ წაიყვანსო.

დავით თავართქილაძე



შოთა არველაძემ დადო პრსო უკვე გაიცნო

კალათბურთი და ჰოკეი



რეხვიაშვილმა იქ ფეხბურთი უნდა ითამაშოს

მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგში“ ათვალწუნებულმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა ლატვიურ „ვენტსპილსს“ რომ დაუკავშირა ბედი, უკვე იცით. გუშინდელ „სარბიელში“ ჩვენებურის ვენტსპილსურ დებიუტზეც ვწერდით — ალეკომ ლატვიის თასის მერვედფინალში სამი გოლი გაიტანა. გუშინ კი მას ტელეფონით დავუკავშირდით და ახალ კლუბზე შთაბეჭდილებები გამოვკითხეთ...

— „ვენტსპილსს“ კარგად ვიცნობ. „სკონტოში“ რომ ვთამაშობდი, ჩვენი მთავარი კონკურენტი იყო. ასე რომ, უცხო გარემოში არ მოვხვედრილვარ.

— **რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

— 2005 წლის 31 დეკემბრამდე „ვენტსპილსის“ საკუთრება ვარ.

— **„სკონტოსა“ და „ვენტსპილსს“ შორის დიდი განსხვავებაა?**

— მნიშვნელოვანი. თანაც „ვენტსპილსი“ ახალი გუნდია, ბევრი ლეგიონერი ჰყავთ და რა ვიცი, იმედი მაქვს, წარმატებებს ამ კლუბშიც მივაღწევ.

— **მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგთან“ ყველაფერი მოაგვარე?**

— მოსკოველებთან უკვე აღარაფერი მაკავშირებს. დავისვენე, ამდენი ხნის უთამაშებლობით დატანჯული ვიყავი.

— **ალბათ უკვე ახალ ქალაქსაც შეეგუე...**

— ჰო, თუმცა აქ ფეხბურთი იმდენად არ უყვართ, როგორც რიგაში, უფრო კალათბურთით და ჰოკეით არიან გატაცებულნი. ერთი სიტყვით, ჩემთვის ახლა მთავარია, ფორმა ავიდგინო და ფეხბურთი ვითამაშო.

ბაჩა შალამბერიძე

სახვაძე: შერიფი ან...



წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის მარცხენაფლანგელი არჩილ სახვაძე თბილისის „დინამომ“ „ლოკომოტივში“ გაანათხოვრა. „ლოკომოტივი“ ახლა უზბეკეთშია, სახვაძე კი დნესტრისპირეთში — მოლდოვის ჩემპიონ ტირასპოლის „შერიფს“ მიაშურა.

„შერიფში“ ორი ქართველი უკვე არის — ვაჟა თარხნიშვილი და მურთაზ ბურნაძე, შესაძლოა, მათ ექსლოკომოტიველი რომან გოგინაშვილიც მიემატოს. რაც შეეხება სახვაძეს, მისი „შერიფში“ ჩარიცხვა შესაძლოა არც შედგეს, რადგან სხვა უცხოურ გუნდში გადასვლის ვარიანტიც აქვს.

26 წლის სახვაძე თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო და ეროვნულ გუნდშიც უთამაშია.

ნორვეგია

ტიპელიგა. XIV ტური

ბრანი 3:4 როზენბორგი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური

ჰაკა 4:1 კტპ

ჰაამენლინა 3:4 ინტერი

ჯაზი 1:1 ალიანსი

ჰიკ 3:2 ტურკუ

როვანიემი 2:2 ლაჰტი



გელზენკირხენის „შალკე 04“-ს სეზონი ადრე ეწყება — „ხუმარები“ ინტერტოტოს თასზე მეოთხედფინალიდან, 17-18 ივლისს ჩაერთვებიან. „შალკე“ 28 ივნისს შეიკრიბა და ერთი საკონტროლო მატჩიც გამართა მოყვარულებთან, თუმც ლევან კობიაშვილს არ უთამაშია, გაციებული გახლდათ. კობიაშვილს გელზენკირხენში დავურეკეთ...

აუტსაიდერის როლი უნდა გამოვიყენოთ

სამაგალითო ამბები და სერიოზული ხუმარები

— ინტერტოტოსთვის სერიოზულად ემზადებით თუ ეს „შალკესთვის“ მეორადი ტურნირია?

— პირიქით, ინტერტოტოს ძალიან სერიოზულად ვუდგებით, რადგან ეს ჩვენთვის ერთადერთი შანსია, რათა დამდეგ სეზონში ევროსარბიელზე ვითამაშოთ — უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ.

— ბუნდესლიგაში რისთვის იბრძოლებთ?

— კონკრეტული მიზნის დასახვა რთულია. შარშან ამ დროს არავინ იფიქრებდა, რომ ბრემენის „ვერდერი“ ჩემპიონი გახდებოდა. დღეს რაიმეს პროგნოზირება და დაგეგმვა ძალიან ძნელია, თუმც „შალკემ“ სერიოზული ტრანსფერები განახორციელა და მიზნებიც შესაბამისი ექნება.

— სერიოზულ ტრანსფერებში ექსვერდერელებს, აილტონს და მლადენ კრსტაჩს გულისხმობ?

— არა მხოლოდ მათ. „კაიზერსლაუტერნიდან“ ბრაზილიელი შემტევი ლინკოლნი გადმოვიდა ჩვენთან, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „შტუტგარტიდან“ ასევე ბრაზილიელი, მცველი მარსელო ბორდონი შემოგვიერთდება — ის ჯერ „კოპა ამერიკაზე“ ითამაშებს და გერმანიაში მერე ჩამოვა.

— ბუნდესლიგის საუკეთესო ფორვარდად აილტონს მიიჩნევ?

— წინა სეზონის მაჩვენებლით ის საუკეთესო იყო. — 28 გოლი გაიტანა და ბომბარდირი გახდა. ყველა აღნიშნავს იმას, რომ 28 გოლი ერთ ბუნდესლიგურ სეზონში მანამდე კარგა ხანი არავის გაეტანა. ასეთი შედეგის გამეორება მართლაც ძნელია.

— დამდეგ სეზონში „შალკეს“ მწვრთნელი იუპ ჰაინკესი რა პოზიციაზე გიპირებს გამწესებას?

— „შალკეს“ ტაქტიკა შეიცვლება — თუ წინა სეზონში 4-4-2-ით ვთამაშობდით, ახლა ალბათ 3-5-2-ს აირჩევს ჰაინკესი. მე კი, მგონი, მარცხნივ გამამწესებს ფლანგის გასაკონტროლებლად.

— ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესნაკრები ძალიან სუსტად რომ გამოვიდა, ამაზე რას ამბობენ გერმანიაში?

— ამას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანიაში. წინა სეზონში გერმანულ კლუბებს ევროტურნირებზეც მოეცარათ ხელი და ყველაფერ ამას სერიოზულად არ ჩევენ. გერმანელები არ ელოდნენ, თუ მათი ნაკრები მეორე შემადგენლობით მოთამაშე ჩეხებს ვერ დაამარცხებდა. ახლა ნაკრების მწვრთნელის კანდიდატებზე საუბრობენ ძალიან ბევრს.

— ევროპის ჩემპიონატმა ჩვენი ნაკრების მეტოქეთა ძალა ერთხელაც გვაჩვენა...

— ეგრეა, საბერძნეთისა და დანიის სიძლიერეში ერთხელაც დავრწმუნდით, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ევროპის ჩემპიონატმა ისიც დაგვანახა, რომ თუ ყველაფერს გაიღებ და სწორად გააკეთებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს — ეს ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს — შესარჩევ ჯგუფში აუტსაიდერის როლი უნდა გამოვიყენოთ.

— ერთი საკამათო საკითხიც — როგორ ფიქრობ, ნაკრებში რა პოზიციაზე უნდა ითამაშოს ლევან კობიაშვილმა?

— იქ, სადაც კლუბში ვთამაშობ. ზოგადად, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მწვრთნელი სად მათამაშებს, მაგრამ ნაკრების ბოლო მატჩში ისრაელთან წინ ვიყავი. მე კი მიმაჩნია, რომ თუ უკნიდან ვითამაშებ, ასე უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან გუნდს.

— წინა ბუნდესლიგაში ერთი გოლიც ვერ გაიტანე...

— ამაზე ბევრი მიფიქრია. არადა, გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა მქონდა. ჩემს კარიერაში მანამდე არასდროს მომხდარა, რომ სეზონი უგოლოდ ჩამემთავრებინოს. მაგრამ ამ ბუნდესლიგაში ალბათ იმდენ გოლს გავიტან, რაც წინა სეზონში უნდა შემეგდო. თუმც წინა ბუნდესლიგა მთლიანობაში კარგად ვითამაშე, საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი, უგოლობა კი ჩემთვის დიდი კატასტროფა არ არის.

დავით თავგართქილაძე

ფრაიბურგი ბაიერნთან ასიანია

ბენეფისი 5-6 € ღირება

იაშვილ-ცქიტიშვილის

„ფრაიბურგი“ ახლა ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ ლაუნგეუგზეა შეკრებაზე და შინ რომ დაბრუნდება, რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც ითამაშებს. ფრაიბურგელები მიუნხენის „ბაიერნსაც“ გაეჯიბრებიან, მაგრამ ამ შეხვედრას ვერც საკონტროლოს დავარქმევთ და ვერც ამხანაგურს.

„ფრაიბურგს“ წლეულს დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა და საუკუნოვან იუბილეს „ბაიერნთან“ საბენეფისო მატჩითაც აღნიშნავს — ფრაიბურგელები ბავარიელებს 3 აგვისტოს უმასპინძლებენ „ბადენოვას“ 25 ათასიან სტადიონზე და საამმატჩო ბილეთებიც ძალიან იაფი ეღირება — 5-6 ევრო.

ჯაბა მუჯირი მეორე ფინალს ვერ ითამაშებს

ირანში დინამო ესტეგლალია

ირანის თასის ფინალში თეირანის „ესტეგლალი“ და ჯაბა მუჯირის ისპაჰანური „სეპაჰანი“ რომ შეიბმებოდნენ, ადრეც გაუწყეთ. სპარსელები თასის ფინალს ორ მატჩად თამაშობენ და პირველი შეხვედრა უკვე შედგა — „სეპაჰანმა“ შინ 3:2 მოუგო დედაქალაქელებს, საპასუხო მატჩი კი თეირანში 7 ივლისს გაიმართება, ოღონდ მუჯირი ვეღარ ითამაშებს.

— „ესტეგლალს“ ყველაფერში ვაჯობეთ, მაგრამ დასანანი გოლები გავუშვით, თეირანელებმა, ფაქტობრივად, არაფრისგან გაგვიტანეს ბურთები. 83-ე წუთზე ყვითელი ბარათი მივიღე, ეს ჩემთვის მეორე გაფრთხილება იყო თასის გათამაშებაში და თეირანში ამიტომ ვერ ვითამაშებ. ისპაჰანში მატჩს ორმოცი ათასი გულშემატკივარი დაესწრო და აქედან თხუთმეტი ათასი „ესტეგლალს“ ქომაგობდა. „ესტეგლალი“ ირანში ძალიან პოპულარული, ტრადიციული გუნდია და ყველა ქალაქში ჰყავს თავის ფანები. „ესტეგლალი“ ჩვენი „დინამოსავითაა“, ირანის ყველაზე ტიტულიანი და სახელიანი გუნდია — გვითხრა მუჯირმა, როცა ისპაჰანში შევეხმიანეთ.

შეგახსენებთ, რომ თასის მომგები გუნდი აზიის ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მოინაგრებს.

დავით თავგართქილაძე

ხსოვნის ტურნირი

ოზურგეთის „მერცხალის“ ყოფილი ფეხბურთელის, აფხაზეთის ომში დაღუპული ნოდარ მელუას სახელობის ტურნირი უკვე მე-11 წელია ტარდება.

წლევანდელ ტურნირში 1988 წელს დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს „ნორჩი დინამო-I“ (მწვრთნელი ოლეგ იმნაძე) და „ნორჩი დინამო“ (მწვრთნელი თამაზ კოსტავა) დაუპირისპირდნენ. დაძაბული მატჩი „ნორჩი დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

ორგანიზატორთა მიერ დაწესებული სხვადასხვა პრიზები ასე განაწილდა: საუკეთესო მეკარე — ილია ასათიანი („ნორჩი დინამო-I“), მცველი — სანდრო ბოკუჩავა („ნორჩი დინამო“), თავდამსხმელი — გიორგი ქემუხტაშვილი („ნორჩი დინამო“).

ქვეყანა აეროპორტში წავიდა

ელადურ არჩევანზე დინამოსთან ერთად ვფიქრობდი

უნგრული „ტატაბანიასგან“ კარიერაა-წეწილმა ქართველმა ნახევრმცველმა ვალერი ზირაქაძემ ბერძნულ „არისთან“ რომ გააფორმა კონტრაქტი, ახლახან გაუწყეთ. საბერძნეთი ზირაქაძისთვის უცხო სულაც არაა — „არისმა“ ჩვენებურთან კონტრაქტი 2004 წლის იანვარში გააფორმა, მაგრამ მერე უეფასგან ტრანსფერები აეკრძალა და ვალერის გუნდში ჩარიცხვაც არ მოხერხდა. სხვა რა გზა იყო: ზირაქაძემ სეზონი მესამედივი ზიონელ „კილკისიაკოსში“ ჩაამთავრა. დანარჩენზე კი თავად ვალერი გვეტყვის, რომელსაც გუშინ სალონიკში დავუკავშირდით...

— უნგრეთში ისეთი რამეები გადამხდა თავს, რომ... საბედნიეროდ, ყველაფერი მოვაგვარე და უკვე „არისში“ ვარ. იმედი მაქვს, ახლა მაინც ვითამაშებ ნორმალურად.

— „კილკისიაკოსში“ როგორ მოხვდი?

— „არისმა“ გამანათხოვრა. ამ კლუბს რაღაც დავალიანება ჰქონდა და უეფამ ტრანსფერები აუკრძალა. ისე, საკმაოდ ნორმალური სეზონი მქონდა, გოლებიც ბლომად გავიტანე.

— „კილკისიაკოსი“ მესამე დივიზიონში თამაშობს და უკეთესი ვარიანტი ვერ ნახე?

— საქმე ისაა, რომ „კილკისიაკოსი“ „არისის“ ფარმ-კლუბია და ეს ტრანსფერიც ამიტომ შედგა. პრაქტიკისთვის მაინც სასარგებლო იყო.

— „არისთან“ კონტრაქტი როდემდე გაკავშირებს?

— 1+1 სისტემით გავაფორმე.

— რა გუნდია „არისი“?

— რაც მთავარია, საბერძნეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობს. მალე კლუბს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, ახალი მწვრთნელის მოყვანასაც აპირებენ და ვნახოთ... რა მიზნებს დაგვისახავენ, ჯერ არ ვიცი.

— როდის იკრიბება გუნდი?

— 20 ივლისს. მერე შეკრებაზეც ვაპირებთ წასვლას, ოღონდ, სად, ჯერ არაა გადაწყვეტილი.

— საბერძნეთის ჩემპიონატზე გვითხარი...

— უნგრეთის ჩემპიონატს ერთი თავით სჯობს. აქ უფრო მაღალი დონეა. აქცენტი ძალისმიერ, ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი. ბერძნულ კლუბებს აქამდე ფინანსურად ძალიან უჭირდათ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მერე ყველა იმედიანადაა და უფრო დიდ წარმატებებს ელის.

— ევროპის ჩემპიონობას ბერძნები როგორ აღნიშნავენ, დიდი ამბებია?

— ორი დღეა, არავის სძინავს. ყველა ქუჩაშია გამოსული და მაგარ დროს ატარებს. ასეთი არაფერი მინახავს. დღეს საღამოს ნაკრები პორტუგალიიდან ჩამოდის და, მგონი, მთელი ქვეყანა აეროპორტში მიდის. ნაკრების დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადებიან. ბევრს არც სჯერა, რაც მოხდა, სიზმარში არიან.

— ცოტა ხნის წინ საქართველოში დაბრუნებას აპირებდი...

— თბილისის „დინამოდან“ დამიკავშირდნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. მეც მერჩივნა „დინამოში“ თამაში, ბოლოს და ბოლოს, სახლში მაინც ვიქნებოდი, მაგრამ ველარ გავრისკე. კარგად რომ დავფიქრდი, „არისში“ დარჩენა გადავწყვიტე და იმედია, არ შევმცდარვარ.

ძახა შალამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

გამოსაჯანმრთელებლად გიორგი ნემსაძემ შავ ზღვასაც მიაშურა

ურეკი ბატესთვის

კაპიტანს მაგნიტური ქვიშაც ეხმარება

თბილისის „დინამოს“ მენისკნაოპერაციევი კაპიტანი გიორგი ნემსაძე ხვალიდან მსუბაქად ვარჯიშს განაახლებს და პარალელურად ურეკში მაგნიტური ქვიშის აბაზანების მიღებას განაგრძობს. გიორგი ათი დღეა, ზღვის სანაპიროზე მკურნალობს, თუმც გუშინ პროცედურების შეწყვეტა მოუხდა და ერთი დღით თბილისისკენ გამოემგზავრა. ნემსაძე ხვალ ისევ ურეკში დაბრუნდება და „დინამოს“ გერმანული შეკრებიდან ჩამოსვლამდე იქვე იქნება.

— აღდგენითი პროცესი ნორმალურად, გაურთულებლად მიდის, ვატყობ, დღითიდღე მუხლს ძალა უბრუნდება და ხვალ-ზეგ უკვე ძუნძულსაც დავიწყებ. 10 ივლისამდე ურეკში ვიქნები, მერე კი თბილისში „დინამოც“ დაბრუნდება და ვარჯიშსაც გუნდთან ერთად განვაახლებ. უეფას თასზე ბატესთან პირველ მატჩს ნაღდად გამოვტოვებ, თუმც ვიმედოვნებ, თბილისური შეხვედრისთვის მზად ვიქნები — გვითხრა გიორგი ნემსაძემ

ქობა ინასარიძე

კაპიტულაცია: რუსთავმა ვარჯიშიც შეწყვიტა

მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა. რაც უფრო მცირდება დრო ჩემპონატის სტარტამდე, მით უფრო ბუნდოვანი ხდება „რუსთავის“ საუმაღლესლიგო პერსპექტივები. დაპირებები ბევრი იყო, ქვემო ქართლის სამხარეო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლაშა მინდელთანაც შედგა საგანგებო შეხვედრა, მაგრამ...

ხავსს ჩაჭიდებული რუსთაველები ვარჯიშს მაინც განაგრძობდნენ, ფორმის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ახლა კი „რუსთავმა“ ვარჯიშიც შეწყვიტა — უფულო გუნდი ფაქტობრივად დაშლილია. ნიშნავს ეს იმას, რომ უმაღლეს ლიგაში ერთი ადგილი უკვე გამოთავისუფლდა?

დავით ერაძე

სიონიდან წასვლა ოლი არ არის

ბიჭებს ხელფასებით დავიბრუნებთ

ორი კვირაა, ბოლნისის „სიონი“ საახალსეზონოდ ემზადება, თუმც არასრული შემადგენლობით. წინა სეზონის გუნდიდან ბოლნისში თითო-ოროლა თუ დარჩა, სხვებმა კი თავშესაფრის ძიებაში იქაურობა რა ხანია, დატოვეს.

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

საოჯახოსმატჩო აყალმაყალის შემდეგ ევროსარბიელიდან მოკვეთილი „სიონი“ ეროვნული ფრონტისთვის ემზადება

ბორის გონჩაროვი, როინ ონიანი, აქვსენტი გილაური, იური გაბისკირია, კახა ალადაშვილი, გიორგი შენგელია, სანდრო ბურნაძე, თენგიზ სიჭინავა, დავით ბაქრაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, ელდარ გვასალია, თენგიზ უგრეხელიძე — ეს მოთამაშეები დღეს საქართველოს სხვადასხვა კლუბებში არიან მიმოფანტულნი.

— რა გითხრათ, ძალიან ბევრი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს „სიონში“, დაახლოებით 30-35. რამდენიმე დღის წინ ორმოცნიც კი იყვნენ. ერთადერთი ცნობილი გვარი-სახელი დავით გოგოლაძეა. დანარჩენები კი სრულიად უცნობი ახალგაზრდები არიან — გვითხრა გუშინ „სიონის“ მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ.

ბოლნისელებს იმედი აქვთ, რომ წასულ ფეხბურთელებსაც დაიბრუნებენ და საამისოდ უებარი „წამალი“ მოამზადეს: „ბიჭებს ხელფასები აქვთ ასაღები, რასაც ორ დღეში დავარიგებთ და, დარწმუნებული ვარ, ყველანი დაბრუნდებიან. აბა, ხელფასებს ხომ არ დაკარგავენ?!“ — გვითხრა „სიონის“ ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ. მისივე თქმით, გათავისუფლების ფურცელი არც „დინამოში“ გადასული ბორის გონჩაროვისთვის მიუცია, თუმც მას მცირე დავალიანება ჰქონია კლუბთან და როგორც კი ანგარიშს „გაასწორებს, ტრანსფერსაც ოფიციალურად გაუფორმებენ.

— ჩვენგან არც ონიანი წასულა, არც გილაური და არც სხვა ვინმე. მართალია, ისინი სხვადასხვა გუნდებში ვარჯიშობენ, მაგრამ კონტრაქტები ჩვენთან აკავშირებთ. ასე რომ, „სიონი“ არ დაშლილა. მალე ყველას დავიბრუნებთ — იმედოვნებს პეტრე დანელია.

„სიონი“ ჯერჯერობით ბოლნისში აგრძელებს მზადებას, თუმც უახლოეს დღეებში შეკრებაზე წასვლასაც აპირებს. სად და როდის, ეს კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

— ფინანსური მდგომარეობა მალე გამოსწორდება და შეკრებასაც აუცილებლად გავახერხებთ. ახლა ჩემთვის მთავარია, ფეხბურთელები გავცხრილო, რასაც სამ-ოთხ დღეში დავასრულებ და მერე უფრო სერიოზულად ვიფიქრებთ ბირთვის შეკვრაზე — გვითხრა გიორგი ყიფშიძემ.

ძახა შალამბერიძე

ესეც ასე, საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია! ახლა ათენში ოლიმპიადა გაიმართება — უცქირეთ 13-29 აგვისტოს.

ამ ბიჭებმა ჩაატარეს გაკვეთილი იმისა, თუ რა შეგვიძლია ბერძნებს, როდესაც მართლა გვწამს იმის, რასაც ვაკეთებთ, როდესაც ერთად ვდგავართ და ვიცით, როგორ მივაღწიოთ საწადელს — თქვა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა — ეს იყო საუკეთესო პასპორტი, საუკეთესო მიწვევა ოლიმპიადაზე. თვენახევარში თამაშებია ანუ დიდი ბერძნული ზაფხული გრძელდება.

დაანგრიეთ კედლები

მთელი მსოფლიო სირტაპს ცეკვავდა

ბერძნულ რადიოში კი ტრადიციულ სირტაკს დასასრული არ ჰქონდა. ორშაბათ დილით პოლიტიკური გაზეთებიც პირველ გვერდებზე დიდი საფეხბურთო სურათებითა და წარწერებით გამოვიდნენ.

„მათ საბერძნეთი ევროპის მწვერვალზე აიყვანეს" — ასეთი გახლდათ „ელეფტეროს ტიპოსის" ჰედლაინი.

„ჩვენ მოვიგეთ, გავანგრიეთ ალაყაფები, ბიჭები ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ" — ეწერა „ეთნოსში" და იგულისხმებოდა ის ძველბერძნული ადათი, როდესაც ოლიმპიურ გამარჯვებულების გასატარებლად ქალაქის კედლების ნაწილებს ანგრევდნენ.

ბუნებრივია, კვირა ღამით, ფინალის დასრულების შემდეგ ეროვნულ ფერებში გამოწყობილი მილიონობით ბერძენი გამოეფინა სხვადასხვა ქალაქის მოედანზე. ისინი ხმაურობდნენ, მაშხალებს ანთებდნენ და ეროვნულ ჰიმნს მღეროდნენ.

ათენში 250 ათასი ადამიანი შეიკრიბა ქალაქის ცენტრში. ისინი ისხდნენ მანქანებსა და მოპედებზე, ზოგიც ფეხით იყო, ისინი აფრიალებდნენ დროშებს და ბევრს ეცვა

მაისურა წარწერით — 2004 საბერძნეთის წელიწადია.

ომონიას მოედანზე ხალხი აძვრა ქანდაკებებზე, ლამპიონებსა და ხეებზე. ზეიმი ორშაბათ დილამდე გაგრძელდა.

არადა — ქართველების გასაგონად! ბერძნული ფეხბურთი ფინანსურ გასაჭირშია, ეროვნულ ჩემპიონატში არის გარიგებული მატჩები და ძალადობა, ხოლო ზოგიერთ შეხვედრას ხუთას ადამიანზე ნაკლები ესწრება.

„ეს იყო კაშკაშა მაგალითი იმისა, რომ ახალგაზრდა ხალხი მოედანს, ფეხბურთს უნდა დავუბრუნოთ, იმედი მაქვს, ფეხბურთის ისევ ახალგაზრდებთან მიტანა დამიფასდება და ზოგი სურვილი ამისრულდება" — განაცხადა ტრიუმფატორმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა.

საბერძნეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ვასილის გაგაცისი: „ახლა დიდებული საშუალება გვაქვს, ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო საქმეები გამოვასწოროთ, ფაქტია, ამ გამარჯვებას გაგრძელება სჭირდება".

მაგრამ ჯობს ზეიმს დავუბრუნდეთ.

„ეს სინამდვილეა, ოცნება ახდა, ჩვენ თასი გვიპყრია და მეშვიდე ცაზე ვართ — იძახდა სახელმწიფო ტელევიზიის კომენტატორი — ბერძნულმა სულმა გაიმარჯვა გერმანული მეთოდის ოდნავი წაშველებით. თუ რწმენა და ოცნება გაქვს, ის აუცილებლად ახდება".

ცხადია, ფრიადი ზეიმები გაიმართა იმ ქვეყნებშიც, სადაც ბერძნებს დიდი დიასპორები ჰყავთ, მაგალითად, ნიუ იორკში, ლონდონსა და მელბურნში.

„დღეს მთელს მსოფლიოში მცხოვრებ ბერძენთა ზეიმია, იმედი მაქვს, რომ მათ სიამოვნება მივანიჭეთ და ისეთი რამ ვაჩუქეთ, რასაც მომავალშიც გულით ვატარებთ" — თქვა საბერძნეთის ნაკრების კაპიტანმა თეოდოროს ზაგორაკისმა.

ისევ რეჰაგელი: „დღეს ბერძნებმა ფეხბურთის ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალეს. საოცარია, რა შეუძლია საბერძნეთში ფეხბურთს. მას შეუძლია მთელი მსოფლიოს ბერძნების გაერთიანება. ეს ისეთი რამაა, რასაც პოლიტიკაც ვერ ახერხებს. მადლობა ფეხბურთელებს და ყველას, ვინც ამ საქმეში იყო ჩართული. ამდენი ადამიანის ერთი იდეით ამუშავება ყოველთვის იოლი როდი გახლავთ. მინდა ბერძნებს ვუთხრა: ეს სიზმარი არ არის, ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ. იამაყეთ ბერძნებო, თქვენ დღეს ევროპას ისტორია შეუქმენით".

პაპუნა კედია

ავი სიტყვა

ჰომეროსის მოსვლამდე არაფერი გვეტკინოთ

აი, ეხლა კი... ვახ, აი ეხლა კი ნაღდად... ნუ... უხ!

რუსეთმა მოუგო, რასია ჩემპიონ!

ვობშემ, მე ვიყო ტრიანონოს დელისი და ნაგიორგონის კარაბახისი, მე ვიყო ღონიერი, დასვენებული და კიდევ ჩასაფრებული — აბა, ვის რა შეეშლებაო. ერთი სიტყვით, მე ლამაზი კი არ უნდა ვიყო და ქალს თავი კი არ უნდა შევაყვარო, ის უნდა ვცადო, რომ სიბნელეში შეყვარებულში თუ ავერიე, ვეძგერო. მე ვიყო ზიტარიდისი და გიტარიდისი.

და ერთი კითხვა მაქვს: სამი დღის მერე რომელი ბერძენი ფეხბურთელი გეხსომებათ? ნუ, ძალად დამახსოვრებულს არ ვამბობ.

თუმცა, ზედმეტი მომდის: ზეუსმა შეარგოთ ელინებს ევროპის ჩემპიონობა! დაე, ოლიმპოზე გადაწყდეს მათი მომავალი წარმატებების ბედიც და დაე, შეიქნას მათი გუნდი ისეთი, ჰომეროსს რომ გაეხარდებოდა.

ჩვენ კი ჰომეროსის მოსვლამდე არაფერი გვეტკინოს. არც ლუიშ ფელიპეს და ცრუ ლუიშ დიადს ეტკინოთ რამე. რას ეძახიან სკოლარის? ფელიპაოს, ხომ? ჰოდა, ჩაო, ფელიპაო! ხომ გეუბნებოდით, მე და მთელი ბარსელონა, ეგ ფიგუ ფეხბურთელი არ არისო. დამტკიცდა თუ არა? იუდას გადახდა! იუდას „ბარსას" ცოდვამ უწია და საერთოდ, სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

თუმცა, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბარსა" გუნდია.

მაშ ასე, საბოლოოდ დამტკიცდა, რომ პორტუგალია ცრუ საფეხბურთო ქვეყანაა. ერთი ნამდვილი ფეხბურთელი ჰყავდათ და ისიც მოზამბიკელი, ხოლო თუ ჩემი ეს ნათქვამი ეწყინებათ, უნდათ საელჩოდან მომიგზავნონ ხალხი და უნდათ სათვისტომოდან, მაინც ყველა დე სოუზა იქნება გვარად.

... ასე და ამგვარად, გასვენება შედგა, ევროპული ფეხბურთი დაკრძალულია. ცხედარი პანთეონამდე მიაცილეს ბედუინმა ბიჭმა ზინედ დინმა, ინგლისელმა გოგომ დ. ვიქტორიამ, ჭარბნერწყვიანმა იტალიელმა ბიჭმა ფრანჩესკომ, ერთმა ესპანელმა, რომელსაც გვარი არ ჰქონდა და ზურგზე სამი ასო ეწერა, დანიისა და შვედეთის ერთობლივმა დელეგაციამ, რამდენიმე ევრო-სურინამელმა, სოცბანკის რომელიღაც წარმომადგენელმა, ნი ტო სლოვენიამ, ნი ტო სლოვაკეთმა, ნი ტო პოლონეთმა, ლუიშ ცრუმ, ადოლფ... უკაცრავად, რუდოლფ ფიოლერმა რომელიღაც ევროპული ქვეყნიდან, რომელიც ოდესღაც იყო რუკაზე და კიდევ რამდენიმემ. კუბოს მიწა მიაყარა მსაჯ მერკის ძმაკაცმა გერმანიის ერთი უსახური სოფლიდან და ფელიპაომ, რომელსაც ჩაო. სხვათა შორის, რამდენადაც გვახსოვს, ფელიპაო ბრაზილიურად ვირს უნდა ნიშნავდეს.

ხოლო ამ წერილით თქვენი მონა მორჩილი წყვეტს თავის საქმიანობას. გისურვებთ ყოველივე კარგს ამ საზიზღარ სამყაროში, სადაც... ნუ, ლაპარაკიც კი არ მინდა გაძლება გქონდეთ და გახსოვდეთ ამქვეყნად ყოველთვის იქნება თქვენზე უნიჭო, მაგრამ თქვენზე მდიდარი ადამიანი.

წავედი!

ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები

საუკეთესო მწვრთნელი

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთი)

ბომბარდირები

მილან ბაროში	ჩეხეთი	5
უეინ რუნი	ინგლისი	4
რუუდ ვან ნისტელროი	ჰოლანდია	4

უეფამ თქვა: ზაგორაკისი



პორტუგალიას თვალზე ცრემლი ჯერ არ შეშრობია, უეფამ კი გუშინვე ტურნირის საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ეს პატივი წილად ერგო ბერძენთა კაპიტან თეოდოროს ზაგორაკისს.

ცხადია, გაინტერესებთ, შეფასებისას რა კრიტერიუმით იხელმძღვანელა უეფამ. მოგახსენებთ, რომ საგანგებოდ შექმნილმა შვიდკაციანმა კომისიამ მთელი ჩემპიონატის მსვლელობისას შეაგროვა ტექნიკური მონაცემები, ამას დაუმატა გამოკითხულ გულშემატკივართა ხმები და თეოდოროს ზაგორაკისსაც პირველობა ერგო.

ელინთა კაპიტანს 26 აგვისტოს მონაკოში დააჯილდოვებენ.

ევრო 2004. ALL STARS

მეკარეები

პეტრ ჩეხი (ჩეხეთი), ანტონის ნიკოპოლიდისი (საბერძნეთი)

მცველები

სოლ კემპბელი, ეშლი კოული (ინგლისი), ტრაიანოს დელასი, იურკას სეიტარიდისი (საბერძნეთი), ოლოფ მელბერგი (შვედეთი), რიკარდო კარვალიუ (პორტუგალია), ჯანლუკა ძამბროტა (იტალია)

ნახევარმცველები

მიხაელ ბალაკი (გერმანია), ლუიშ ფიგუ, მანიშე რიბეირუ, კრისტიანო რონალდო (პორტუგალია), ფრენკ ლამპარდი (ინგლისი), პაველ ნედვედი (ჩეხეთი), თეოდოროს ზაგორაკისი (საბერძნეთი), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი);

თავდამსხმელები

მილან ბაროში (ჩეხეთი), ანგელოს ხარისტიასი (საბერძნეთი), ჰენრი ლარსონი (შვედეთი), უეინ რუნი (ინგლისი), იონ დალ ტომასონი (დანია), რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია)

UEFA Euro 2004 PORTUGAL

ევრო 2004 დასრულდა და ქვემოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს გაგაცნობთ, რომლებმაც ეს ჩემპიონატი თავისებურად გამორჩეული გახადა.

❦❦❦

მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატზე პირველად მოხდა, რომ გახსნის მატჩში მოთამაშე გუნდები ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ.

❦❦❦

ფინალში გასულმა მასპინძელმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატი ვერ მოიგო და ეს პირველი შემთხვევაა. აქამდე ესპანეთმა (1964), იტალიამ (1968) და საფრანგეთმა (1984) გაჩემპიონება საკუთარ ქვეყანაში მოახერხეს.

❦❦❦

საბერძნეთისთვის ეს პირველი დიდი ჯილდო გახლდათ. ისევე როგორც 1992-ში დანიისთვის.

❦❦❦

ჩემპიონატზე ერთმა გუნდმა მეორის ორჯერ დამარცხება რომ შეძლო, ეს უკვე მეორედ მოხდა. 1996 წელს გერმანიამ ჩეხეთს ჯერ ჯგუფში, შემდეგ კი ფინალში სძლია.

❦❦❦

აქამდე მსოფლიოსა და ევროპის არც ერთი ჩემპიონატი არ მოეგო გუნდს, რომელსაც უცხოელი მწვრთნელი ჰყავდა. ეს პირველად ოტო რეჰაგელის საბერძნეთმა შეძლო.

❦❦❦

65 წლის, 10 თვის და 15 დღის ოტო რეჰაგელი უხუცესი მწვრთნელი შეიქნა, ვისაც ევროპის ჩემპიონატი მოუგია. მან რინუს მიხელსის (1988) რეკორდი გააუმჯობესა.

❦❦❦

მეოთხედფინალიდან მოყოლებული, ელინებმა სამივე მატჩი 1:0 მოიგეს. ამ მაჩვენებლით საბერძნეთი პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ზედიზედ სამ შეხვედრაში გოლი არ გაუშვა.

❦❦❦

ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ ინგლისმა და საბერძნეთმა შეძლეს ყველა მატჩში გოლის გატანა.

❦❦❦

აქამდე ევროჩემპიონატების ყველა ფინალში გამარჯვებულ გუნდს ორზე ნაკლები არ გაეტანა, ელინებმა კი ერთით მოახერხეს მოგება.

ევრო 2004-ის უდისციპლინონი

საბერძნეთი

ყვითელი ბარათი (18): გეორგიოს კარაგუნისი (4), იურკას სეიტარიდისი (3), ზისის ვრიზასი (2), თეოდოროს ზაგორაკისი (2), ანგელოს ხარისტიასი, ანგელოს ბასინასი, ტაკის ფიშასი, დიმიტროს პაპადოპულოსი, კოსტას კაცურანისი, სტელიოს იანაკოპულოსი, ტრაიანოს დელასი

წითელი ბარათი (0)

პორტუგალია

ყვითელი ბარათი (14): ფრანსისკო კოშტინია (3), ნუნუ ვალენტე (2), პედრუ პაულეტა (2), დეკო სოუზა (2), რიკარდუ კარვალიუ (2), კრისტიანო რონალდო, ლუიშ ფიგუ, ნუნუ გომეში

წითელი ბარათი (0)

ჩეხეთი

ყვითელი ბარათი (8): ტომაშ გალაშეკი (2), პაველ ნედვედი, მარეკ იანკულოვსკი, ტომაშ უიფალუში, ვლადიმირ შმიცერი, მილან ბაროში, რომან ტისი

წითელი ბარათი (0)

ჰოლანდია

ყვითელი ბარათი (10): ჯონი ჰეიტინგა (2), როი მაკაი, ფრანკ დე ბური, ანდი ვან დერ მეიდე, მარკ ოვერმარსი, არიენ რობენი, ფილიპ კოკუ, იაპ სტამი, კლარენს ზეედორფი

წითელი ბარათი (1): ჯონი ჰეიტინგა

ინგლისი

ყვითელი ბარათი (7): სტივენ ჯერარდი, გარი ნევილი, ფილ ნევილი, პოლ სქოულზი, ფრენკ ლამპარდი, დევიდ ჯეიმსი, უეინ რუნი

წითელი ბარათი (0)

საფრანგეთი

ყვითელი ბარათი (5): ლუი საა, ზინედინ ზიდანი, რობერ პირესი, მიკაელ სილვესტრი, ტიერი ანრი

წითელი ბარათი (0)

შვედეთი

ყვითელი ბარათი (8): ზლატან იბრაჰიმოვიჩი (2), ტობიას ლინდეროტი (2), ერიკ ედმანი (2), ალექსანდერ ოსტლუნდი, კიმ კალსტრიომი

წითელი ბარათი (0)

დანია

ყვითელი ბარათი (7): კრისტიან პოულსენი, კასპერ ბოგელუნდი, თომას გრავესენი, იონ დალ ტომასონი, თომას ჰელვეგი, ნიკლას იენსენი, ებე სანდი

წითელი ბარათი (0)

ესპანეთი

ყვითელი ბარათი (8): კარლოს მარჩენა (2), დავიდ ალბელდა (2), რუბენ ბარახა, ივან ელგერა, ივან ხუანიტო, კარლეს პუიოლი

წითელი ბარათი (0)

რუსეთი

ყვითელი ბარათი (15): რომან შარონოვი (3), ალექსეი სმერტინი (2), ვლადისლავ რადიმოვი (2), როლან გუსევი, ევგენი ალდონინი, ვადიმ ევსეევი, დმიტრი ალენიჩევი, ალექსანდრ ანიუკოვი, ანდრეი კარიაკა, დმიტრი ალენიჩევი, ვიაჩესლავ მალაფეევი

წითელი ბარათი (2): რომან შარონოვი, სერგეი ოვჩინიკოვი

ხორვატია

ყვითელი ბარათი (6): დადო პრსო, ნენად ბიელიცა, მილან რაპაიჩი, ივიცა მორნარი, ბორის ჟივკოვიჩი, დარიო შიმიჩი

წითელი ბარათი (0)

შვეიცარია

ყვითელი ბარათი (10): იოჰან ფოგელი (2), ბერნტ ჰაასი (2), ბენჟამინ ჰუგელი (2), იორგ შტილი, ფაბიო სელესტინი, ჰაკან იაკინი, რაფაელ ვიკი

წითელი ბარათი (2): იოჰან ბოგელი, ბერნტ ჰაასი

იტალია

ყვითელი ბარათი (8): ფაბიო კანავარო (2), ჯენარო გატუზო (2), ანტონიო კასანო, ფრანჩესკო ტოტი, ჯანლუკა ძამბროტა, მარკო მატერაცი

წითელი ბარათი (0)

ბულგარეთი

ყვითელი ბარათი (15): სტილიან პეტროვი (2), როსენ კირილოვი (2), ილიან სტოიანოვი (2), მარტინ პეტროვი (2), ივაილო პეტკოვი, ზორან იანკოვიჩი, ვლადიმირ ივანოვი, ზლატომირ ზაგორჩიჩი, მარიან ხრისტოვი, ვალერი ბოჟინოვი, ზდრავკო ლაზაროვი

წითელი ბარათი (1): სტილიან პეტროვი

გერმანია

ყვითელი ბარათი (8): კევინ კურანი, მიხაელ ბალაკი, არნე ფრიდრიხი, დიტმარ ჰამანი, ტორსტენ ფრინგსი, იენს ნოვოტნი, ფილიპ ლამი, კრისტიან ვიორნსი

წითელი ბარათი (0)

ლატვია

ყვითელი ბარათი (3): ალექსანდრს ისაკოვსი, ვიტალის ასტაფიევსი, ვალენტინს ლობანიოვსი

წითელი ბარათი (0)

GOOL

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილ ევროჩემპიონატზე ლამაზი გოლების ცვენა არ ყოფილა, მაგრამ უეფამ ოთხი მაინც გამოარჩია.

პირველი ადგილი ჰენრიკ ლარსონის უზადო თავურმა დარტყმამ დაიმსახურა, რომელიც შვედმა ბულგარელებთან შეასრულა. ლარსონმა ხელები თვითმფრინავის ფრთებივით გაშალა და ზდრავკოვს ისეთი დაურტყა, რომ ბულგარელთა მეკარეს არც კი უცდია მოგერიება.

მეორე საფეხურზე კიდევ ერთი შვედი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოხვდა იტალიასთან გატანილი კარატე-გოლით. ამსტერდამის „აიაქსის“ ფორვარდმა ფეხის ისეთი მოძრაობით შეაბრუნა ბურთი კარში, რომ იმ მომენტში კარგად მოთამაშე იტალიელ მცველებს სხვანაირად ვერ აჯობებდა.

შვედეთთან იან დალ ტომასონის შესრულებული „ცისარტყელაც“ ნაღდად დაუვიწყარია. „ვიკინგთა“ მეგოლემ ოცდაათიოდ მეტრიდან ამოჰკრა ბურთს მარჯვენა და ისაკსონის ზურგსუკან კარში ჩაუშვა. იტალიელები ამტკიცებენ, ეს ჩაწყობილი მატჩი იყო, მაგრამ რა ვუყოთ, გოლი ლამაზი გამოვიდა.

მანიშე რიბეირუ ოთხეულის ბოლოში მოექცა. მოჭრილი, ეშმაკური დარტყმით პორტუგალიელმა ნახევარფინალში საჯარიმოს კუთხიდან მარჯვენათი ბურთი ვან დერ სარს ისე ჩაუხვია, რომ ჰაერში გაწელილი მეკარე საცოდავი სანახავი იყო.

ვაჟა ხუციშვილი

ვეჭვობთ, რომ ბერძენია

ხაცმა დაიჯერა და ბევრიც მოიგო

„უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორა მთელ დუნიაზე განთქმულია. კანტორას მავანმა „კამიკაძემ“ ევროპის ჩემპიონატზე 332 ათასი გირვანქა ააფცქვნა.

უცნობი მოთამაშე ბერძნების ჩემპიონობაზე 23 ივნისს 4 ათას გირვანქას ჩავიდა და ამ ქვითარით 50-ჯერ მეტი მოიგო, ხოლო ხუთი დღის შემდეგ, როცა კოეფიციენტმა დაიწია და ერთი ათთან გახდა, კიდევ 8 ათასი შეაგდო, რა თქმა უნდა, კვლავ ოტო რეჰაგელის გუნდის ჩემპიონობაზე.

საბოლოოდ 332 ათასი გირვანქა მიითვისა და, ალბათ, ორი ბოთლი შამპანურის გახსნაც არ დაეზარებოდა „მეფე ოტოს“ დასალოცად.

„ჩვენ ვეჭვობთ, რომ ეს კაცი ბერძენია“ — განაცხადა „უილიამ ჰილის“ წარმომადგენელმა გრემ შარპმა.

ვისაც ჯიბეში ფული გიფეთქავთ, ახლავე შეგიძლიათ დაენიძლავოთ ინგლისურ კანტორას, რომელმაც უკვე გამოაქვეყნა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონობის კანდიდატთა ფსონები. ბერძნებზე ფულს თუ შეიტანთ და ისინი გერმანიაში მუნდიალს მოიგებენ (იქ თუ მოხვდნენ, რა თქმა უნდა), ერთ გირვანქით ოცდაცამეტს მოიგებთ.

ვაჟა ხუციშვილი

eurofan2004@hotmail.com

დანაშაული და ბოდიში

ფინალში იყო ლექსი

პორტუგალიის ფანებს ბოდიში მინდა მოგიხადოთ ფინალის წაგების გამო. ვაღიარებ, რომ ჩემი ბრალია, ბოლო ოთხი წელია ერთხელაც არ მომხდარა, რომ ფინალი იმ გუნდს მოეგოს, მე რომ ვქომაგობ. წინა ევროპის ფინალში იტალიის მოგება მინდოდა და წააგო, „ლივერპული“ — „ალავესის“ ფინალში ბასკებისკენ ვიყავი, პსვ — „დორტმუნდის“ ფინალში გერმანელებისკენ, წინა მუნდიალის ფინალშიც გერმანელებისკენ, „ბაიერნი“ — „ვალენსიას“ ფინალში „ვალენსიასკენ“... მოკლედ, მე წავაგებინე პორტუგალიას, მაგათ ვქომაგობდი.

თუმცა თავს მაინც ვინუგეშებ, რადგან ხალხი მეუბნება, შენ რა შუაში ხარ, პორტუგალიამ ითამაშა ცუდადო, ბერძნებს კი მაგარი მწვრთნელი ჰყავდათო და თქვენც თუ ეგრე ფიქრობთ, ხომ საბოლოოდ დავმშვიდდები. ერთი სიტყვით, ვნახოთ რას ფიქრობთ თქვენ.



SIMPATIAGA_BOY: ეს რა დამემართა, ჰა? არ გადამრია ამ პორტუგალიამ? ეეეე, როგორ მეგონა, ჩემპიონი გახდებოდა. ისე, მე ამ გუნდის ლიდერების თავზე გავიარე. ფულზე რომ გაყიდი შენი ქვეყნის სახელს და გამარჯვებას, რაღა უნდა გელაპარაკოს კაცმა. ეს რაზეც იყო და ვიზეც იყო ნათქვამი, გამგები გაიგებს და მიხვდება.

P.S. ისე, რომ გააკეთე ასეთი კაი საქმე, ახლა იჩალიჩე და ჩვენც მოგეხმარებით, რომ ფეხბურთი ვითამაშოთ ყველამ ერთად.

რომ იცოდე, შე მართლა სიმპათიურო, როგორ გამიკეთე გული, მეგონა, მარტო მე გადამრიეს პორტუგალიელებმა-მეთქი, თურმე შენც გადაურევიხართ. მაგრამ ფულის ამბავი რაღაც ვერ გავიგე. უფრო სწორად, არ მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალი შეიძლება ფულზე გაიყიდოს. მომკალი და, არ მჯერა. ფეხბურთი კი, რა თქმა უნდა, ვითამაშოთ.

შემდეგი წერილი:

— გამარჯობათ მეგობრებო! ესეც ასე. ფინალიც გადავყლაპეთ და მორჩა ეს ძლივს-მოსარჩენი. ბრავო ელადა. მაინც ბრავო, იმისდა მიუხედავად, როგორ ევროპაში გაიმარჯვე. მაინც ჯიგრები ხართ, ჯიგრები. ოტო რა ჯიგარია? ხო კაცია? საღოლ ძმაო. ეგრე უნდათ მაგ გაზულუქებულებს, ფეხბურთის თამაში ეზარებათ უკვე. მომეწონა. მაგრამ ყველაზე ჯიგარი ვინ არის, იცით? კაცურად რომ ჩამოხტა მინდორზე და გაბერილ, გამაძღარ ფიგუს „ბარსას“ დროშა რომ შეაფერთხა სახეში. **sorry**, „რეალის“ და ფიგუს ფანებს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს კაცური საქციელი იყო. მოკლედ, ჩემპიონატი იყო დიდი ინკვიზიცია და, რაც მთავარია, სამართლიანი. ვინც დასასჯელი იყო, დაისაჯა ყველა. მომავალი შეხვედრის იმედით გემშვიდობებით. მუდამ თქვენი ტარკემადა.

აბა ბიჭებო, ყველა ერთად დავემშვიდობოთ ტარკემადას, რომელსაც, მისი წინა წერილებიდან ვიცით, რომ დიდი ხანია აცრუებული ჰქონდა გული ამ ჩემპიონატზე და ფიგუ ისე არ უყვარს, რომ ნაღდად „ბარსას“ ფანია. კარგად ტარკემადა, მაგრამ ფიგუს რომ გადაუხტა, იმ კაცის ამბავში ვერ დაგეთანხმები, არ მოიქცა სწორად.

ოოო, ახლა საბოლოოდ დავმშვიდდი, ჩვენი ძველი ნაცნობი DIDGORI1121-ც ცუდ ხასიათზე ყოფილა და აი, რას გვწერს:

— ისევ ძალიან ცუდ ხასიათზე გწერთ. ეს ევროპა ჩემთვის მაგარი უიღბლო იყო. მე რომელი ფეხბურთელი და მწვრთნელიც მომწონდა, ყველამ ფიასკო განიცადა. ეჰ, მე კლასის მჯეროდა და კლასით ბერძნებმა მოიგეს. კლასი მაგათ უფრო ჰქონიათ, ვიდრე პორტუგალიელებს. ხალხმა სული ჩადო, გული ჩადო, იბრძოლა და დამსახურებულადაც მოიგო. ბერძნებმა შეცვალეს მსოფლმხედველობა ფეხბურთში, მათ დაგვანახეს, თუ როგორ შეიძლება არაგრანდი გუნდი გახდეს ევროპის ჩემპიონი. აი, გავავლოთ პარალელი საქართველოსა და ბერძნებს შორის. რითი გვჯობიან, რითი. კაი, ჩემპიონობა თუ არა, გასვლა მაინც არ შეიძლება ევროპაზე? მაგრამ, ჩვენი ფეხბურთელები ვერასდროს გავლენ ევროპაზე. ეს ნაკრები მაქვს მხედველობაში. მაგათ სული არ აქვთ, ქვეყნის და სამშობლოს სიყვარული არა აქვთ, თორემ ყველაფერი შეგვიძლია. ყველაფრის მოგებაც შეგვიძლია. მაგრამ უკვე ვახსენე, ამათ არაფერი გააჩნიათ იმ თვისებებისგან, რაც ბერძნებს აქვთ და რითაც მოიგეს ევროპა დამსახურებულად. გუნდი, რომელმაც 540 წუთი ითამაშა ქვეყნის გულისთვის, ითამაშა გულით და მოიგო გულით. მარტო ფიზიკური მომზადება და მწვრთნელი არაფერ შუაშია. 4 ივლისი იყო საბერძნეთის დღე, დღე დაუვიწყარი, დღე შესანიშნავი, დღე, რომელიც ჩაიწერება ოქროს ასოებით საბერძნეთის ისტორიაში.

P.S. საქართველოს ნაკრებისთვის და ქვეყნისთვის დადგება ოდესმე დღე, როცა ჩვენც ჩავწერთ ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით ასეთ დღეს და გავიხარებთ ისე, როგორც გუშინ საბერძნეთი გაახარა მისმა ნაკრებმა?

ხედავთ ხალხო, როგორ იგრძნობა, რომ ევროპა დამთავრდა და მსოფლიოს შესარჩევი ციკლი ახლოვდება? ბოლო დღეებია, თქვენს წერილებში სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებთ საქართველოს ნაკრებს. რაც შეეხება საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩასაწერ რამეებს, რისიც ალალად მჯერა, იმას მოგახსენებთ: მჯერა, რომ აფხაზეთს უფრო მალე დავიბრუნებთ, ვიდრე მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ.

ისე, ეჭვი მაქვს, რომ ჩვენი კიდევ ერთი მუდმივი ავტორი VASHAKIDZE-ც იგივეს ფიქრობს:

— მდაااااა. ესეც ბერძნები და ესეც, რა თქმა უნდა, ოტო. კაცი ლეგენდა. მართლა მწვრთნელი ეგ ყოფილა. საერთოდ, პესიმისტი არ ვარ, მაგრამ მორჩა თამაში და წუთით გავიფიქრე კიდეც, ჩვენ რა გვეშველება, ამათთან რაიმეს შანსი თუ გვაქვს-მეთქი? ერთმა მეგობარმა ისიც მითხრა, და ძალიან სერიოზულადაც, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს ახლა თავის გამართლების მშვენიერი შანსი ეძლევათ, თუ წააგეს საბერძნეთთან, მაშინ იტყვიან, ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონებთან წავაგეთო და გულმაც რეჩხი მიყო. ემანდ მართლა ეგრე არ გამოვიდეს... და მაინც, ჩამოვა საბერძნეთი, ისევე როგორც რუსებთან, ქართველები ერთად დავდგებით, ერთად დავძახებთ: საქარ-თვე-ლოოოოოოოო! და თუ მოვიგეეეეეეთ, ვიტრაბახებთ (მაინც გვიყვარს ეგეთები, ბოლოს და ბოლოს, ქართველები ვართ). ევროპის ჩემპიონებს მოვუგეთო.

ეჰ, ჩემო VASHAKIDZE, მეც იმის მეშინია, შენმა ჭკვიანმა მეგობარმა რაც ივარაუდა, ის მოხდება და რეჩხი მერე ნახე.

ისე, შენ რომ წერ, პესიმისტი არ ვარო, გინდა ნაღდი ოპტიმისტის წერილი წაგაკითხო?

ILO_2: ჰა, ჰა, აბა, ვინღა იტყვის, რომ საბერძნეთი დაუმსახურებლად გახდა ჩემპიონიო. ალალად გაიმარჯვა ფინალში. ხარისტიასი კი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპის ჩემპიონატზე. ისე, ბოლოჯერ გწერ, სოფელში მივდივარ. ჩემი აზრია, მაგრამ ვიტყვი, რომ საქართველო ჯგუფიდან გავა, საქართველო 2:1 საბერძნეთი.

შენ გენაცვალე ილო მაგ დაუსაბუთებელ ოპტიმიზმში. ეს გაზეთი კი სოფელში წაიღე და იქაურებს ანახე, სარბიელელებმა მოგიკითხესო.

ბოლოს კი MEZVRO-ს წერილები წავიკითხოთ, რომელმაც ანგარიშების გამოცნობა ვერაფრით ისწავლა, არადა, მისი წინა წერილები თუ გახსოვთ, ძალიან ცდილობს. ფინალამდე ის გვწერდა:

— ფინალში ვინც მოხვდნენ, კი დაიმსახურეს იქ თამაში, მაგრამ მაინც მგონია, რომ ბერძნები ასეთი რანგისთვის საკადრის თამაშს ვერ აჩვენებენ. არა მგონია, პორტუგალია მეორედაც ვერ გაუმკლავდეს ბერძნებს.

ფინალის მერე კი MEZVRO-მ მოიწერა:

— ნაღდად არ მჯეროდა, პორტუგალია თუ ხელიდან გაუშვებდა ევროპის ჩემპიონობას. რა უნდა ითქვას ფინალის შესახებ, ბერძნებს არ უჩვენებიათ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი. სამაგიეროდ, გასაოცარი ორგანიზებულობით და გუნდური თამაშით დაგვამახსოვრეს თავი. სკოლარი რატომღაც დიდ, ჭკვიან სპეციალისტად არ მესახებოდა. ამ თამაშის მერე ხომ საერთოდ. მაინტერესებს, მატჩამდე თუ აყურებინა ფეხბურთელებს საბერძნეთთან წაგებული პირველი მატჩი. სწორად თუ მიუთითა დაშვებულ შეცდომებზე შეგირდებს? მგონია, რომ არა, რადგან მოედანზე არ ჩანდა, პორტუგალია რის ხარჯზე აპირებდა ბერძნების დამარცხებას. პორტუგალია, მიუხედავად მწარე გამოცდილებისა, მაინც არხეინა გამოვიდა მოედანზე იმ ფიქრით, რომ 90 წუთიღა აშორებდა თასის ჩახუტებას. ახია. ნეტა კი დაიარებოდა ისეთი კაცი მსოფლიოში, ვინც ტურნირის დაწყებამდე ბერძენთა წარმატებას ინინასწარმეტყველებდა? იმედი მაქვს, აქ ჩამოსული ბერძნები იმდენად იქნებიან ევროს მოგებით გაბღენძილები, რომ სათანადოდ ვერ დაგვაფასებენ და მოკრძალებულ საქართველოსთან მარცხს იგემებენ.

სულ ბოლოს კი ერთ ლექსს წაგიკითხავთ, რომელიც ჩვენი დღევანდელი ავტორებიდან ერთ-ერთმა მოიწერა, ოღონდ მთხოვა, არ გამხილო, ლექსებს რომ ვწერო. არც გავამხელ:

„უკრაინა, საბერძნეთი,
თურქეთი თუ დანია,
საქართველოს გაუმარჯოს,
ცუდია თუ კარგია“
შენ დაუკარ!

ვეგმასტერი ბუარა

eurofan2004@hotmail.com

ობიექტივი

მსოფლიო ხომ შენია, ევროპა ჩემი იყოს

იტირე, შვილო, გულზე მოგეშვება



ფიგურალური გამოთქმა: ვაი, რა დავკარგე

მიგელს ჯერ ეტკინა, მერე კი ძალიანაც ეწყინა

ნელი ფურტადოს ნამღერზე მარკუს მერკმა იცეკვა

ფეხბურთმა კონტინენტი გამოიცვალა

ბურთი დედამიწასავით მრგვალია ან პირიქით. პორტუგალიაში ევრო 2004 გუშინწინ დამთავრდა, დღეს კი პერუში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, ანუ „კოპა ამერიკა“ იწყება. იანაკოპულოსის, პაპადოპულოსის, სეიტარიდისა და სხვა ბერძნულ გვართა კითხვა-დამახსოვრებაში თუ გაიწაფეთ, კარგია, რადგან დღეიდან უფრო გრძელი გვარ-სახელების ათვისება მოგიწევთ. მაგალითად, პერუელ პედრო ალეხანდრო გარსია დე ლა კრუზის და ჩილელი სებასტიან იგნასიო გონსალეს ვალდესის გვარ-სახელთა გამოთქმისას ენას კარგად გაავარჯიშებთ, თუმც ქართულ ტელეარხებზე სამხრეთამერიკული ტელესერიალების მაყურებელთ ეგებ მათი წარმოთქმა არც გაუჭირდეთ.

დღეს დაიწყება და 25 ივლისს დამთავრდება 41-ე „კოპა ამერიკა“, რომელსაც პერუს შვიდი ქალაქი უმასპინძლებს. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი აქამდე პერუში ხუთჯერ გაიმართა და მასპინძლებმა შინ მხოლოდ ერთხელ (1939) იმარჯვეს. ეს ქვეყანა არგენტინელებისთვისაა იღბლიანი. მათ აქ ორჯერ დაისაკუთრეს ამერიკის თასი, თითოჯერ კი ურუგვაიმ და პარაგვაიმ გაიხარეს.

„კოპა ამერიკა“ ყველაზე მეტჯერ არგენტინას (14) და ურუგვაის (14) მოუგიათ. ბრაზილია ექვსგზის გამარჯვებულია, პარაგვაიმ და პერუმ ორ-ორჯერ იძალეს, ხოლო ბოლივია და კოლუმბია ჩემპიონობას ერთხელ შესწვდნენ.

წინა „კოპა ამერიკა“ (2001) სწორედ კოლუმბიაში გაიმართა. მაშინ არგენტინელებმა უარი თქვეს მონაწილეობაზე, ბრაზილიელები კი მეოთხედფინალში მოულოდნელად ჰონდურასთან დამარცხდნენ. კოლუმბიამ ნახევარფინალში ჰონდურასი დააჩოქა (2:0), ხოლო ფინალში მექსიკას 1:0 სძლია.

პერუში ჩასული თორმეტი გუნდი სამ ჯგუფში გაანაწილეს. ათი ნაკრები სამხეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის წევრია, მექსიკა და კოსტა რიკა კი კონკაკაფის ზონიდან მიწვეული სტუმრები არიან.

ისე რა ბრაზილია და ტრადიციული არგენტინა

A ჯგუფი

მასპინძელ პერუელებს ბრაზილიელი პაულო აუტორი წვრთნის. ცხადია, დამხვდურები ფავორიტებად ითვლებიან და ისინი ჯგუფის სამი მატჩიდან პირველ ორს დედაქალაქ ლიმაში გამართავენ, ხოლო მესამეს — ტრუხილიოში.

თანამედროვე პერუული ფეხბურთის სიმბოლოდ ნოლბერტო სოლანო ითვლება. მის გვერდით ნახევარდაცვაში რობერტო პალასიოსი ითამაშებს და მასპინძლებს ამ წყვილის ძალიან ეიმედებათ.

თავდამსხმელ კლაუდიო პიზაროს კი რეკლამა არ სჭირდება. მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდს განვლილ ბუნდესლიგაში შთამბეჭდავი შედეგი არ უჩვენებია, მაგრამ მისი კლასის ფორვარდის ჩამოწერა არ ეგების. დამხვდურებს მის გარდა ნიჭიერი ყმაწვილკაცი ჯეფერსონ აუგუსტინ ფარფან გვადალუპე, მოკლედ, „ფარფანი“ ჰყავთ, რომელსაც სამხრეთში უეინრუნის ადარებენ. მან ივნისში პსვ-სთან კონტრაქტი გააფორმა და ჰოლანდიის ჩემპიონატში ითამაშებს.

პერუელთა პირველი მეტოქე ბოლივია იქნება. ბოლივიელებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლებათ, მათ შორის მცველები: სანჩესი, პეკა და გატი სიბეირო. ამიტომ მათი მწვრთნელი შეეცდება, ახალგაზრდებს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. ხოაკინ ბოტესო და 19 წლის ხუან კარლოს არსეს დიდ შეჯიბრებაში ნათლობა ელით.

ჯგუფის კიდევ ერთი წევრი კოლუმბია წინა „კოპა ამერიკის“ გამარჯვებულია. კარლოს ვალდერამას თვისტომებმა პერუში ექსპერიმენტული შემადგენლობა ჩაიყვანეს, მაგრამ მათზე სუსტი არ ითქმის, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მცველები, მარიო იეპესი და ივან კორდობა არ იქნებიან და გუნდს დააკლდება მეგოლე ხუან პაბლო ანხელიც.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლიბერტადორესის თასი სწორედ კოლუმბიურმა „ონსე კალდასმა“ მოიგო და ნაკრები ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელით შეივსო.

მწვრთნელ რეინალდო რიერას საკმაოდ ანგარიშგასაწევი გუნდი შეუქმნია. აღსანიშნავია, რომ ამ კაცის ხელქვეით კოლუმბიის 20-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპონატზე მესამე ადგილს უწია.

მარტში ვენესუელამ ყველა გაარკვირვა, როცა ურუგვაი 3:0 დააყუდა. აშკარაა, ისინი პერუში სასეირნოდ არ ჩასულან. მათი ნაკრების ფეხბურთელთა ძირითადი ბირთვი უკვე ხუთი წელია, ერთად თამაშობს და ყოველივე ეს ჭკვიანი მწვრთნელის, რიჩარდ პაესის ხელში მოექცა. გუნდში გამოირჩევიან შემტევი ნახევარმცველი ხუან არანგო, ცენტრალური მცველი ხოსე მანუელ რეი, საყრდენი - ლეოპოლდო ხიმენესი და გამთამაშებელი რიკარდო დავიდ პაესი.

B ჯგუფი

წილისყრამ ამ ჯგუფში ძველისძველი მტრები — არგენტინა და ურუგვაი შეყარა. „კოპა ამერიკის“ პირველ (1961) ფინალში სწორედ ესენი შეხვდნენ ერთმანეთს და ურუგვაიმ იმარჯვა.

არგენტინელებმა პერუში უძლიერესი შემადგენლობა წაიყვანეს, თუ არ ჩავთვლით ერნან კრესპოს, რომელსაც განვლილ სეზონში „ჩელსიში“ დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე მარსელო ბიელსას ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ მწვრთნელმა ადგილი მაინც შეინარჩუნა.

2006 წლის მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე არგენტინამ ბრაზილიასთან წააგო, ბიელსა კი კვლავ შეურყეველია, რადგან ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა მისი მხარდამჭერია.

ახლა მარსელო ბიელსას ქომაგთა გულების მოსაქრთამად, „კოპა ამერიკას“ მოგება მოუწევს და მისი ნაკრებიც ჩემპიონატის უმთავრეს და ლამის უკონკურენტო ფავორიტად ითვლება.

ყველა „ევროპელი“ არგენტინელი, რობერტო აიალათი დაწყებული და ხავიერ სავიოლათი დამთავრებული, პერუშია. მათთან ერთად არიან ქვეყნის შიდა ჩემპიონატში


ხავიერ სავიოლა

მოთამაშე ვარსკვლავები კარლოს ტევესის თამადობით.

ურუგვაელები ამ გაზაფხულზე აშკარად მოიკოჭლებდნენ. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შინ ვენესუელასთან (0:3) მარცხის შემდეგ მწვრთნელი რამონ კარასკო მოხსნეს. მის ნაცვლად ჟორჟე ფოსატი დანიშნეს, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა. ურუგვაელებმა მომდევნო ორი მატჩიც წააგეს. არადა, პაოლო მონტეროს, დარიო სილვასა და დიეგო ფორლანის გუნდს ალბათ, ასეთი არ უნდა ემართებოდეს. ფოსატიმ პერუში არ წაიყვანა ალვარო რეკობა და ხავიერ ერნესტო ჩევანტონი.

ერნან დარიო გომესის ეკვადორი საკმაოდ სტაბილურია, მათ ფორვარდი კარლოს ტენორიო ჰყავთ ტრავმირებული, მაგრამ აუგუსტინ დელგადო ფორმაშია, ისევე როგორც ვეტერანი ნახევარმცველი ალექს აგინაგა, რომელიც მერვე „კოპა ამერიკას“ მიითვლის.

წინა გათამაშების ფინალისტი მექსიკა თავისთავად ანგარიშგასაწევი გუნდია. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე იტალიის კარში უცნაური გოლის გამტანი ბორგეტი კვლავაც ნაკრებშია და იგი პალენსიასთან ერთად შეუტევს.

C ჯგუფი

კარლოს ალბერტო პარეირამ პერუში ახალგაზრდები წაიყვანა, რომლებსაც ალბათ მომავალი მუნდიალისთვის ამზადებს. რონალდო, რონალდინიო და რობერტო კარლოსი „კოპა ამერიკაზე“ არ ითამაშებენ. ცნობილი ევროპელებიდან გუნდში რომაელი მანსინი, შტუტგარტელი მარსელო ბორდონი და ინტერელი ადრიანო არიან.

კარლოს ალბერტო პარეირა ამ ტურნირს ალბათ მოსამზადებლად გამოიყენებს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ბრაზილია მხოლოდ პირველობისთვის ითამაშებს. თუმც ბრაზილიელთა მწვრთნელმა ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე განაცხადა, ფავორიტად არგენტინელები მიმაჩნიაო.

ჩილელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბრაზილიისა და არგენტინის შემდეგ მესამე ადგილზე არიან, რაც მათ სიძლიერეზე მეტყველებს.

ვაჟა ხუციშვილი

COPA AMERICA PERU 2004 — კოპა ამერიკა 2004 პერუ (6-25 ივლისი)

A ჯგუფი

ბოლივია, კოლუმბია, პერუ, ვენესუელა

06.07 ლიმა ვენესუელა — კოლუმბია 06.07 ლიმა პერუ — ბოლივია 09.07 ლიმა კოლუმბია — ბოლივია	09.07 ლიმა პერუ — ვენესუელა 12.07 ტრუხილიო ვენესუელა — ბოლივია 12.07 ტრუხილიო პერუ — კოლუმბია

B ჯგუფი

არგენტინა, ეკვადორი, მექსიკა, ურუგვაი

07.07 ჩიკლაიო მექსიკა — ურუგვაი 07.07 ჩიკლაიო არგენტინა — ეკვადორი 10.07 ჩიკლაიო ურუგვაი — ეკვადორი	10.07 ჩიკლაიო არგენტინა — მექსიკა 13.07 პიურა მექსიკა — ეკვადორი 13.07 პიურა არგენტინა — ურუგვაი

C ჯგუფი

ბრაზილია, ჩილე, კოსტა რიკა, პარაგვაი

08.07 არეკიპა კოსტა რიკა — პარაგვაი 08.07 არეკიპა ბრაზილია — ჩილე 11.07 არეკიპა ბრაზილია — კოსტა რიკა	11.07 არეკიპა პარაგვაი — ჩილე 14.07 ტაჩნა კოსტა რიკა — ჩილე 14.07 არეკიპა ბრაზილია — პარაგვაი

მეოთხედფინალი

17.07 ჩიკლაიო
A2 — B2
17.07 ტრუხილიო
A1 — II საუკეთესო მე-3 ადგილოსანი
18.07 ტაჩნა
C1 — I საუკეთესო მე-3 ადგილოსანი
18.07 პიურა
B1 — C2

ნახევარფინალი

20.07 ლიმა
I წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული
21.07 ლიმა
IV წყვილის გამარჯვებული — III წყვილის გამარჯვებული

მატჩი მე-3 ადგილისთვის

24.07 კუსკო

ფინალი

25.07 ლიმა

მაურინიუმ ჩელსის თავი დაადგა ახლა ფეხებს ეძებს

„ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა, ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, რომ ორ კვირაში შემადგენლობის საბოლოოდ დაკომპლექტება სურს. პორტუგალიელის თქმით, მცველის, ნახევარმცველისა და თავდამსხმელისთვის მან ჯერ კიდევ უნდა შეიხედოს სატრანსფერო ბაზარზე.

„ზუსტად მაქვს გადაწყვეტილი, რომ 20 ფეხბურთელი უნდა მყავდეს, ასე რომ, სამი-ოთხი ადგილი შესავსებია — თქვა „პორტუს“ ყოფილმა თავკაცმა — ცვლილებები შეიძლება ახლებსაც შეეხოს და ძველებსაც.“

ერნანა კრესპოს გული იტალიისკენ მიუწევს

სხვათა შორის, რამდენადაც ცნობილია, მაურინიუმ მწვრთნელთა ჯგუფშიც დიდი გადაადგილებები მახდინა. ძველთაგან დატოვა სტივ კლარკი, რომელიც 11 წელიწადია, „სტემფორდ ბრიჯზე“ მუშაობს. ის მაურინიუს ერთ-ერთი ასისტენტი იქნება, მეორე თანაშემწედ კი, მაურინიუსთან ერთად „პორტუში“ ნამუშევარი ბალტემარ ბრიტო გაირჯება.

მათ გარდა ფიზიკური მომზადების მწვრთნელად რუი ფარია, მეკარეთა მწვრთნელად სილვინიო, ხოლო სკაუტად ანდრე ვილასი დანიშნენ. ისინი ბრიტოს მსგავსად „პორტუში“ მუშაობდნენ.

ახლა ფეხბურთელები: მაურინიუ ამბობს, რომ მას ერნან კრესპოსთან კონტაქტი არ ჰქონია, კრესპო ვალდებული იყო გუშინ შეკრებაზე გამოცხადებულიყო. აღსანიშნავია, რომ გუშინვე იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა“ დაწერა კრესპოს ასეთი სიტყვები:

„ყველასთვის ცნობილია, რომ „მილანის“ მწვრთნელთან, კარლო ანჩელოტისთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ“.

შეგახსენებთ, რომ კრესპო ანჩელოტის ხელმძღვანელობით ადრე „პარმაში“ გამოდიოდა.

გარდა ამისა, იყო ხმები იმის თაობაზე, რომ „ჩელსიმ“ კონკურენტებს ედგარ დავიდსის შეძენა დასწროო, მაგრამ პორტუგალიელმა ეს ხმები უარყო. „ჩელსი“ 21 ივლისს აშშ-ში მიემგზავრება.

პაპუნა კედია

ბენფიკას საქმე ტრაპისკენ წავიდა



გუშინ მოგახსენეთ, რომ ლისაბონის „ბენფიკას“ საზოგადოებისთვის ახალი მწვრთნელის ვინაობა უნდა გაემხილა და ერთ-ერთ პორტუგალიურ გაზეთზე დაყრდნობით ვვარაუდობდით, რომ ეს მწვრთნელი „ინტერის“ ყოფილი თავკაცი, ალბერტო ძაკერონი უნდა ყოფილიყო. „ბენფიკამ“ მართლაც გაამხილა ახალი მწვრთნელის ვინაობა, მაგრამ იგი სრული მოულოდნელობა გამოდგა — ჯოვანი ტრაპატონი, 65 წლის იტალიელი, რომელიც ევრო 2004-ზე იტალიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

მაშ ასე, ოთხწლიანი განშორების შემდეგ ტრაპი საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდა. იგი „ბენფიკაში“ ესპანელ ხოსე ანტონიო კამაჩოს შეცვლის, რომელიც ლისაბონური კლუბიდან სრულიად გასაგები მიზეზის გამო წავიდა — „რეალში“ მიიწვიეს.

შეგახსენებთ, რომ ჯოვანი ტრაპატონი მრავალჯერ ყოფილა იტალიის ჩემპიონი. მან სკუდეტო „იუვენტუსის“ და „ინტერის“ სათავეში ყოფნისას მოიგო, ხოლო 90-იან წლებში ბედი გერმანიაში სცადა, „ბაიერნი“ გაწვრთნა და იქაც ბუნდესლიგის სასალათე მოიპოვა.

პაპუნა კედია

ფეხბურთის რუკასთან ერთად

ესპანური „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გადაწყვიტა, თავდამსხმელი სამუელ ეტოო გამოისყიდოს მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ გაანათხოვროს. პერესის თქმით, კამერუნელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ითამაშოს „ბარსელონაში“ ან „დეპორტივოში“. ამ საფრთხის ასაცილებლად პერესი ეტოოს „ატლეტიკოში“ განათხოვრებას უპირებს, თანაც იმ პირობით, რომ აფრიკელი ფეხბურთელი „რეალის“ წინააღმდეგ მატჩებს გამოტოვებს.

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი პაველ ნედვედი ევრო 2004-ის ნახევარფინალში მიღებული ტრავმის შემდეგ კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა. „შესაძლოა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ დროა, ფეხბურთს გამოვეთხოვო. ნელ-ნელა უნდა შევეგუო ამა აზრს. ყველა გუნდს ვაკვირდებოდი და დარწმუნებული ვარ, რომ წესით ფინალში ჩეხეთს უნდა ეთამაშა. ტიტულის მოგების ბრწყინვალე შანსი მქონდა, მაგრამ... იმედს ვიტოვებ, მომავალ ორ სეზონში „იუვენტუსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალებს მაინც ვითამაშებ“ — თქვა ნედვედმა.

ინგლისურ „ქოვენთრის“ მალე ბიზნესმენი ჯო დინსი შეიძენს, რომელსაც მწვრთნელად ჟერარ ულიეს მიყვანა სურს. „ჟერარს უკვე შევხვდ და ვესაუბრე. ძალიან მინდა, ჩემი მომავალი კლუბი ცნობილმა პიროვნებამ ჩაიბაროს. იმედია, საერთო ენასაც მალე გამოვნახავთ. გუნდიდან ძველი მწვრთნელის, ერიკ ბლეკის გაშვებას არ ვაპირებ. მას ულიეს თანაშემწეობას შევთავაზებ“ — განაცხადა დინსმა.

პორტუგალიის ნაკრების მეკარე რიკარდუს „ლივერპულმა“ და გლაზგოს „სელტიკმა“ დაადგეს თვალი, თუმცა თავად გოლკიპერს ინგლისში გადასვლა უფრო ხიბლავს. „რიკარდუს კარიერის გაგრძელება პრემიერლიგაში სურს, განსაკუთრებით კი ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „ლივერპულია“. მან მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა. ახლა სიტყვა „სპორტინგზეა“ — აღნიშნა ფეხბურთელის აგენტმა.

იტალიური „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი მოძღვართან ერთად მონასტერში მივიდა, რათა ევრო 2004-ზე ჩადენილი საქციელი მოანანიებინა. ტაძარში ტოტის მიერ დატოვებულ ფურცელზე შემდეგი შინაარსის წარწერა იყო: „ღვთისმშობელო მარიამ, გთხოვ მაპატიო დანაშაული და ვფიცავ, რომ ასე აღარასოდეს მოვიქცევი. შენი ფრანჩესკო“.

გერმანული ფეხბურთის ლეგენდის ფრანც ბეკენბაუერის თქმით, ეროვნული გუნდი უცხოელმა სპეციალისტმა უნდა გაწვრთნას. „იქიდან გამომდინარე, რომ არც ისე ბევრი გერმანელი კანდიდატია, კარგი იქნება, თუ მწვრთნელს უცხოეთიდან მოვიწვევთ. მე პირველ რიგში გუს ჰიდინკს დავასახელებდი, რომელმაც სამხრეთ კორეა ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ათამაშა. ვფიქრობ, მას შეუძლია, ჩვენს ნაკრებს დიდი სარგებლობა მოუტანოს. ღირსეულ კანდიდატად მიმაჩნია არსენ ვენგერიც“ — დასძინა ბოლოს კაიზერ ფრანცმა.

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა მარსელ დესაიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. „დროა, წავიდე. ძველებურად თამაშის ჯანი აღარ შემწევს, ასაკი თავისას შვება“ — აღნიშნა დესაიმ. მარსელ დესაი 11 წელი, იცავდა „მამლების“ ღირსებას და ნაკრებშიც 116 მატჩი აქვს ჩატარებული, რაც საფრანგეთის რეკორდია.

ინგლისური „მიდლსბროს“ წარმომადგენელ დეივ ალენის თქმით, მარკ ვიდუკა უკვე ოფიციალურად გახდა „ბოროს“ ფეხბურთელი. ავსტრალიელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და უახლოეს დღეებში მას გულშემატკივრებსაც წარუდგენენ. ვიდუკას სანაცვლოდ „რივერსაიდის“ ბინადრებმა „ლიდსს“ 4 მილიონი ფუნტი ჩაუჯიბეს.

ესპანური „მონაკოს“ ახალ პრეზიდენტ მიშელ პასტორის თქმით, მის კლუბს ხავიერ პორტილიო არ აინტერესებს და მადრიდის „რეალიდან“ მხოლოდ ფერნანდო მორიენტესის გამოსყიდვა უნდა. „პორტილიოს „მონაკოში“ გადმოსვლას გამოვრიცხავ. ჩვენ მორიენტესის გარდა, არავინ გვაინტერესებს და იმედია, მის შეძენას მოვახერხებთ. „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნებს დაველოდებით, შემდეგ კი ვნახოთ, შევძლებთ თუ არა, მათ მიერ დასახელებული სატრანსფერო თანხის გამონახვას“ — აღნიშნა პასტორმა.

რუსეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ ვოლგოგრადის „როტორს“ ახალი თავკაცი ჰყავს. მწვრთნელის პოსტიდან რამდენიმე დღის წინ თავისი ნებით წასული ვალერი იარემჩენკო ვიტალი შევჩენკომ შეცვალა. ეს უკანასკნელი ბოლოს „როსტოვს“ წვრთნიდა. 52 წლის სპეციალისტს ვოლგოგრადელთა გასავარდნი ზონიდან ამოყვანა ევალება.

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა. X ტური						
		7 ივლისი						
21.00	151	აიკ-კალმარი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
21.00	152	მალმიო-სუნდსვალი	1,5	3,6	6,0	1,2	1,2	3
21.00	153	იორგრიტე-ლანდსკრონა	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
22.00	154	ჰალმსტადი-იურგორდენი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		8 ივლისი						
21.00	155	ჰამარბი-ჰელსინგბორგი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	156	იორებრო-გიოტებორგი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
21.00	157	ტრელებორგი-ელფსბორგი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
		შვედეთი. სუპერეტა. გადადებული მატჩი						
		7 ივლისი						
21.00	017	ფრიოლუნდა-ჰეკენი	2,7	3,3	2,25	1,48	1,22	1,33
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XII ტური						
		7 ივლისი						
19.30	033	ტპ 47-ტამპერე	3,0	3,2	2,15	1,54	1,25	1,28
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. IX ტური						
		6 ივლისი						
23.15	043	ჰაფნარფიორდური-რეიკიავიკი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
		7 ივლისი						
23.15	044	ფილკირი-აკრანესი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		8 ივლისი						
23.15	045	ვიკინგური-გრინდავიკი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
23.15	046	კეფლავიკი-ფრამი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
		რუსეთი. პრემიერლიგა. XV ტური						
		7 ივლისი						
16.00	061	სპარტაკი-ყუბანი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
16.00	062	ამკარი-მოსკოვი	2,25	2,8	3,2	1,24	1,32	1,49
16.00	063	კრილია-როსტოვი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
16.00	064	რუბინი-ცსკა	3,3	2,9	2,15	1,54	1,3	1,23
16.00	065	შინიკი-როტორი	1,6	3,2	5,6	1,06	1,24	2,03
16.00	066	დინამო-ლოკომოტივი	3,4	2,9	2,1	1,56	1,29	1,21
16.00	067	ტორპედო-სატურნი	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
16.00	068	ზენიტი-ალანია	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		ბრაზილია. სერია A. XIII ტური						
		6 ივლისი						
03.30	081	გოიასი-ფლუმინენსე	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
03.30	082	გრემიო-ფიგეირენსე	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
03.30	083	სან პაულუ-ატლეტიკო მნ	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
03.30	084	ვასკუ და გამა-ვიტორია	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		7 ივლისი						
03.30	085	ბოტაფოგო-ინტერნასიონალი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
03.30	086	პალმეირასი-ჟუვენტუდი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
03.30	087	პარანა-ატლეტიკო პრ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
03.30	088	პაისანდუ-სან კაეტანო	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
03.30	089	კრუზეირო-გუარანი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
04.45	090	პონტე პრეტა-სანტოსი	2,1	3,3	2,9	1,28	1,21	1,54
04.45	091	კურიტიბა-კორინთიანსი	1,65	3,4	4,6	1,21	1,21	2,8
04.45	092	კრიციუმა-ფლამენგო	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
		შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		6 ივლისი						
21.00	116	ნორჩიოპინგი-ოპერა	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
		უკრაინა. სუპერ თასი						
		10 ივლისი						
18.00	117	დინამო-შახტარი	2,35	3,0	2,8	1,31	1,27	1,44

COPA AMERICA PERU 2004. ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		6 ივლისი						
02.30	001	ვენესუელა-კოლუმბია	4,4	3,2	1,75	1,85	1,25	1,13
04.45	002	პერუ-ბოლივია	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
		7 ივლისი						
02.30	003	მექსიკა-ურუგვაი	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
04.45	004	არგენტინა-ეკვადორი	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
		8 ივლისი						
02.30	005	კოსტა რიკა-პარაგვაი	4,0	3,2	1,8	1,77	1,24	1,15
04.45	006	ბრაზილია-ჩილე	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		6 ივლისი						
5001		ვენესუელა-კოლუმბია	4,8	2,1	2,2	1,46	1,5	1,07
5002		პერუ-ბოლივია	1,75	2,4	6,0	1,01	1,35	1,71
		7 ივლისი						
5003		მექსიკა-ურუგვაი	2,7	2,05	3,5	1,16	1,52	1,29
5004		არგენტინა-ეკვადორი	1,7	2,45	6,5	1	1,34	1,77
		8 ივლისი						
5005		კოსტა რიკა-პარაგვაი	4,6	2,05	2,3	1,41	1,53	1,08
5006		ბრაზილია-ჩილე	1,75	2,4	6,0	1,01	1,35	1,71

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	6 ივლისი		
5301	ვენესუელა-კოლუმბია	1,65	1,95
5302	პერუ-ბოლივია	1,7	1,9
	7 ივლისი		
5303	მექსიკა-ურუგვაი	1,6	2,0
5304	არგენტინა-ეკვადორი	1,7	1,9
	8 ივლისი		
5305	კოსტა რიკა-პარაგვაი	1,6	2,0
5306	ბრაზილია-ჩილე	1,7	1,9
	9 ივლისი		
5307	კოლუმბია-ბოლივია	1,6	2,0
5308	პერუ-ვენესუელა	1,65	1,95

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
				6 ივლისი						
5101	ვენესუელა-კოლუმბია	7,0	10,0	20,0	8,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,5
5102	პერუ-ბოლივია	1,9	12,0	30,0	3,5	5,0	11,0	20,0	11,0	11,0
				7 ივლისი						
5103	მექსიკა-ურუგვაი	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
5104	არგენტინა-ეკვადორი	1,8	15,0	40,0	3,5	5,3	12,0	25,0	12,0	12,0
				8 ივლისი						
5105	კოსტა რიკა-პარაგვაი	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
5106	ბრაზილია-ჩილე	1,9	12,0	30,0	3,5	5,0	11,0	20,0	11,0	11,0

რომელი გუნდი გახსნის-მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წაგებულად ჩაითვლება)

	6 ივლისი		
5401	ვენესუელა-კოლუმბია	2,4	1,6
5402	პერუ-ბოლივია	1,3	3,4
	7 ივლისი		
5403	მექსიკა-ურუგვაი	1,8	2,0
5404	არგენტინა-ეკვადორი	1,3	3,4
	8 ივლისი		
5405	კოსტა რიკა-პარაგვაი	2,3	1,65
5406	ბრაზილია-ჩილე	1,3	3,4

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	6 ივლისი		
5201	ვენესუელა-კოლუმბია	1,65	1,95
5202	პერუ-ბოლივია	1,7	1,9
	7 ივლისი		
5203	მექსიკა-ურუგვაი	1,6	2,0
5204	არგენტინა-ეკვადორი	1,7	1,9
	8 ივლისი		
5205	კოსტა რიკა-პარაგვაი	1,6	2,0
5206	ბრაზილია-ჩილე	1,65	1,95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	6 ივლისი			
5501	ვენესუელა-კოლუმბია	3,0	2,8	2,0
5502	პერუ-ბოლივია	3,0	2,8	2,0
	7 ივლისი			
5503	მექსიკა-ურუგვაი	3,0	2,8	2,0
5504	არგენტინა-ეკვადორი	3,0	2,8	2,0
	8 ივლისი			
5505	კოსტა რიკა-პარაგვაი	3,0	2,8	2,0
5506	ბრაზილია-ჩილე	3,0	2,8	2,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალივან რიდი: რა შუაშია რიდი?!

სანიკიძის მენეჯერმა თავიც შეიწუხა და სან ანტონიოც შეაწუხა

სალივან რიდი — ეს კაცი პატრონობს დღეს ევროპაში მოთამაშე ახალგაზრდა ქართველებს. ვის სახელიან კლუბში მოაწყობს, ვის შედარებით სუსტში, რჩეულთ კი დრაფტისკენ მიუძღვება. რიდმა შეაშველა ხელი ახლახან სერგო ათუაშვილს, რომელიც ფრანგული ჩემპიონატის ბობოლა „შალონმა" აიყვანა და მისივე ძალისხმევით ამავე გუნდში მალე დავით საყვარელიძეც ჩაირიცხება. მაგრამ მთავარი ამბავი მაინც დიჟონელი ვიქტორ სანიკიძის დრაფტზე მივლინება იყო, თუმც მარტო მივლინებას არაფერი უნდა, მთავარი ნბა-ს კლუბებთან საქმის წარმოება, შენი კლიენტის შესაძლებლობებში ამერიკელების დარწმუნებაა. სწორედ ამაში ივარგა რიდმა და ეს მისი უფროსის, სატრანსფერო კანტორა „ენტერსპორტის" შეფის, ქართველთათვის კარგად ნაცნობი მარკ ფლეიშერის დახმარებით გააკეთა — „სან ანტონიოს" სანიკიძე ააყვანინა. რიდს გუშინ შევეხმიანეთ...

სალივან რიდი ვიქტორ სანიკიძის მეგობარიცაა და მენეჯერიც

— გამარჯობათ, მისტერ რიდ, საქართველოდან გაწუხებთ...

— გამარჯობათ. სანიკიძის ამბები გაინტერესებთ?

— დიახ და არამარტო მისი...

— გისმენთ...

— თავდაპირველად გვაინტერესებს, მიიღებს თუ არა სანიკიძე იმ საზაფხულო ლიგებში მონაწილეობას, რომელსაც „სან ანტონიო" ივლისის შუა რიცხვებში გეგმავს?

— ვერ მიიღებს. ლოს ანჯელესისა და სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგები ზუსტად იმ პერიოდს ემთხვევა, როცა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს. ამას გარდა, სანიკიძე ეროვნულ გუნდსაც უნდა წაჰყვეს იტალიაში.

— ამერიკელები იშვიათად უწევენ ანგარიშს ფიბა-ს ეგიდით მოწყობილ ტურნირებს...

— ამ შემთხვევაში იმანაც იმოქმედა, რომ სანანტონიოელები არ ჩქარობენ სანიკიძის ნბა-ში გადაყვანას. მათ იციან, რომ ვიქტორი ძალიან კარგი მონაცემების ყმაწვილია, მაგრამ ამავდროულად ძალიან ნედლია. სავარაუდოდ, ერთი, შეიძლება ორი წელიც ევროპაში დატოვონ. მისი წლეულსვე „სან ანტონიოში" ჩარიცხვა პრაქტიკულად გამორიცხულია.

— გამოდის, რომ სანიკიძე წლეულს ამერიკაში არ წავა?

— როგორ არა, იგი ამ ზაფხულს აუცილებლად უნდა ჩავიდეს სან ანტონიოში. ამის პირობა უკვე მივეცი გრეგ პოპოვიჩის გუნდს. წლეულს სანიკიძე გასაცნობად ჩავა „სან ანტონიოში", შეხვდება გუნდის ადმინისტრაციას, გენერალურ მენეჯერს, მოთამაშეებს და, რა თქმა უნდა, მწვრთნელებს. ეს, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს მოხდება, გააჩნია, რა დრო დასჭირდება ამერიკული ვიზის გაკეთებას.

— ცოტა ნაადრევი ხომ არ იყო სანიკიძის დრაფტზე დაყენება?

— ნაადრევი კი იყო, მაგრამ სხვანაირად არ გამოვიდოდა, სანიკიძე ავტომატურად დადგა დრაფტზე. ამერიკელებს ასეთი წესი აქვთ: თუ კალათბურთელი ამერიკის რომელიმე უნივერსიტეტის ან კოლეჯის გუნდში თამაშობს და შემდეგ პროფესიულ გუნდთან გააფორმებს კონტრაქტს, გარკვეული დროის შემდეგ იგი ავტომატურად დგება დრაფტზე. ჰოდა, სანიკიძე ორი წლის წინ ნიუ იორკის „გლობალ ტექნოლოჯის" კოლეჯის გუნდში თამაშობდა, მერე კი „დიჟონთან" გააფორმა კონტრაქტი და დრაფტზეც თავისთავად აღმოჩნდა.

— ეგ კარგი, მაგრამ 42-ე ნომრად რომ აირჩიეს, დიდი მოულოდნელობა იყო...

— უმრავლესობა მართლაც გაოცდა, სანიკიძეს ნბა-ს არც ერთი წამყვანი სპეციალისტი არ უწინასწარმეტყველებდა დრაფტზე არჩევას და პირიქით კი მოხდა.

— ეს შემთხვევით არ ხდება...

— ვიცი და ამიტომაც არსებობს მენეჯერი, მიდგეს, მოდგეს, დრაფტის მონაწილეებს ესა თუ ის პერსპექტიული მოთამაშე შესთავაზოს. მე და ჩემმა სატრანსფერო სააგენტო „ენტერსპორტის" მენეჯერებმა „სან ანტონიოსთან" დავიჭირეთ საქმე და გარიგება შედგა — სანიკიძე ამ ძლიერმა კლუბმა აიყვანა.

— მოლაპარაკება და რეკლამა თავისას კი შვრება, მაგრამ სანანტონიოელები უნახავად ხომ არ აიყვანდნენ სანიკიძეს, არადა, ვიქტორი ამერიკაში არ ჩასულა...

— „სან ანტონიოსთან" მოლაპარაკება დრაფტის საღამოს, ანაც მანამდე ერთი კვირით ადრე კი არ დაწყებულა. ეს ხანგრძლივი პროცესი გახლდათ. „სან ანტონიოს" სკაუტებმა არაერთხელ ნახეს სანიკიძე ხორვატიაში და საფრანგეთში, ვიდეოკასეტები კი ათობით მაქვს გაგზავნილი. საბოლოო გადაწყვეტილება გრეგ პოპოვიჩმა მიიღო, სანიკიძე სამომავლოდ აიყვანეს.

— სანიკიძის გარდა თქვენ კიდევ არაერთი ქართველის აგენტი ბრძანდებით...

— ქართველებში დიდი საკალათბურთო ნიჭი ბუდობს, თუმც მხოლოდ ნიჭით არ არიან ქართველები დაჯილდოებულნი, მათ შრომაც უყვართ. ამ ბიჭებმა, დღეს რომ უმაღლესი დონის გუნდებში თამაშობენ, საკუთარი ძალისხმევით და შეუპოვრობით მიაღწიეს ყველაფერს. თუნდაც ვლადიმერ ბოისა ავიღოთ, რომელსაც ორიოდ წლის წინ ევროპაში არავინ იცნობდა და 21 წლისა „ოლიმპიას" კაპიტანი გახდა, დღეს კი გუნდის ლიდერია და მთელი ევროლიგა იცნობს. იგივე შეიძლება ითქვას მანუჩარ მარკოიშვილზეც, 16 წლისა „ბენეტონის" ძირითადში რომ მოხვდები, მაგარი ხარ. ნიკა ცქიტიშვილი ცალკე თემაა, ზაზა ფაჩულიაც ხომ თავისთავად. ფაჩულია ახლა ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე, ამას ყველა ხედავს და მას დიდ პატივს სცემენ ნბა-ში.

— ნიკა ცქიტიშვილიც თქვენი სატრანსფერო სააგენტოს მიყვანილია ნბა-ში, თუმც დრაფტის მე-5 ნომრის კვალობაზე სათანადო დონეს ვერ მიაღწია...

— ცქიტიშვილი ითამაშებს მაღალ დონეზე, ცოტა აცალეთ, ნახავთ, როგორი კალათბურთელი დადგება. „დენვერს" არსად ეჩქარება, იცის, ნაადრევად რომ წაიყვანა ნბა-ში, მაგრამ ის ხომ ჯერ 20 წლისაა.

— მესამე წელია, დრაფტს ქართველი გარეშე არ ჩაუვლია. ახლა ვინაა რიგში?

— მანუჩარ მარკოიშვილი და სერგო ათუაშვილი.

— ათუაშვილი?

— დიახ, ათუაშვილი. სერგო უზარმაზარი სიმაღლის კვალობაზე საკმაოდ სწრაფი, ელასტიკური და ზუსტი მოთამაშეა. მას აქვს საკალათბურთო აზროვნება და ამ ბოლო დროს ეს დაამტკიცა. ტყუილად ხომ არ აიყვანდა „შალონი".

— რას იტყვით ასევე საფრანგეთში მოთამაშე გიორგი მდივანზე?

— მდივანიც ძალიან დიდი გაქანების ახალგაზრდაა. ის ყველა ქართველისგან განსხვავებულია თავისი ზორბა ტანითა და ძალისმიერი თამაშით. ბარემ ჩემ აზრს გეტყვით გიორგი მამაცაშვილსა და დავით საყვარელიძეზეც. არც ეს ბიჭები არიან ნაკლებნი. კარგი მწვრთნელი ამათგან ნორმალური დონის კალათბურთელებს გამოზრდის. საერთოდ, ამ თაობას — სანიკიძე, მარკოიშვილი, ცინცაძე... საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს და ბევრსაც მიაღწევს. მე აუცილებლად დავესწრები ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატს, სადაც ქართველთა სიმპათიურ ნაკრებს ძალიან სერიოზული მეტოქეები ჰყავს ჯგუფში. ტურნირს დაესწრება ევროპის თითქმის ყველა ცნობილი საკალათბურთო აგენტი, ქართველებს კარგი შანსი აქვთ, კიდევ ერთხელ დაამტკიცონ, რომ ერთ-ერთი უჭკვიანესი თაობა ჰყავთ ევროპაში.

— საუბარი იმით დავასრულოთ, რითაც დავიწყეთ: გჯერათ, რომ სანიკიძე „სან ანტონიოში" ითამაშებს?

— მჯერა და ეს ასეც იქნება, თუ რამე სასწაული არ მოხდა. „სან ანტონიომ" კარგად იცის ევროპელი კალათბურთელების ფასი, ამ გუნდს ხომ არაერთი ევროპელი ჰყავს. სანიკიძეს კი არავისზე ნაკლები მონაცემები არ აქვს, გავა ერთი, ორი, სამი წელი და ის უთუოდ წავა ნბა-ში.

ირაკლი პერტაია

მივდივართ!

არ ვიცი, ძმაო, მაგრამ რუსეთი იქ იქნება ჭაბუკები კი ნაღდად მიდიან

ახლა ზუსტად ისეთივე სიტუაციაა ეროვნულ ნაკრებში, როგორიც შარშან ამ დროს იყო. ტრავმის გამო მაშინაც ვერ ვარჯიშობდა კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი და ნაკრებში „ოკეანგაღმელთა" ჩამოსვლაც ვერ მოხერხდა. ნაცვლიშვილი დღეს ფილტვის ოპერაციას იკეთებს დიჟონის კლინიკაში, ხოლო ნიკა ცქიტიშვილისა და ზაზა ფაჩულიას ჩამოსვლა კვლავაც ვერ ხერხდება. არის კიდევ ერთი მსგავსება, მაგრამ...

თუმც რაღა მაგრამ — შარშან ნაკრები შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო არ წავიდა უცხოურ შეკრებაზე, რა აზრი აქვს ნბა-ელების გარეშე უკრაინაში წასვლას, ყველა სპარინგმატჩში შევრცხვებითო. ამჯერად კი იტალიური შეკრება და საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა იგეგმება, თუმც ნბა-ელები არც ახლა ჩანან და არც კაპიტანი ნაცვლიშვილია მწყობრში. არადა, იტალიურ ტურნირზე სწორედ ის ნაკრებიცაა მიწვეული, ძირითადად ვის გამოც არ წავიდა შარშან ჩვენი გუნდი კიევში: წაუსვლელობის გასამართლებლად მაშინ ნაკრების ხელმძღვანელობამ ასეთი არგუმენტი მოიყვანა: ფეხბურთში და რაგბიში წაგებული რუსები აიღებენ და ულეგიონერებოდ კიევში ჩასულებს ერთი კარგად შეგვარცხვენენო.

დიახ, ახლაც რუსეთი ელის საქართველოს, ოღონდ იტალიაში და ჩვენი ნაკრები ისევ შესუსტებული შემადგენლობითაა. მაგრამ ახლა სხვა დროა, სექტემბერში ყოფნაარყოფნის ტოლფასი ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი იწყება და თუ იტალიური შეკრება არ გამოვიდა, დარჩენილა ნაკრები შეუთამაშებელი და ეგაა. თუმც ისეც და ასეც შეუთამაშებელი რჩება ეროვნული გუნდის ბირთვი, რაკი, როგორც ვთქვით, წამყვანი კალათბურთელები იტალიაში ჩასვლას ვერ ახერხებენ. ამიტომაც სამართლიანად აგორდა ჭორი თუ მართალი — გუშინ დილმის ბაზაზე კერძო საუბრებში ხშირად გაიგონებდით, რა იტალია, რის უცხოური შეკრება...

სანამ ეროვნული გუნდი იტალიაში მოსამზადებლად წავა, ჭაბუკთა ნაკრები ხვალ დილით ესპანეთში მიფრინავს ევროპის ჩემპიონატის ფინალში სათამაშოდ. ჰოდა, გუშინ დილმის ბაზაზეც იმიტომ მივედით, ჭაბუკთა კრებული ეროვნულ ნაკრებს, უფრო სწორად, ქართული კლუბების ნაკრებს ეთამაშებოდა ბოლო საკონტროლო მატჩს ესპანეთში გაფრენამდე.

მანამდელ ორ სპარინგმატჩში ჭაბუკებმა იმარჯვეს, გუშინ კი დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწყსომ მოიგო. მაგრამ შედეგს მნიშვნელობა რომ არ ჰქონდა, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ჭაბუკთა ნაკრების სამმა ლიდერმა — მანუჩარ მარკოიშვილმა, ვიქტორ სანიკიძემ და გიორგი ცინცაძემ — მეტი დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ამ მატჩზე ერთის თქმა შეიძლება — ჭაბუკები უფრო გააზრებულად და შეკრულად თამაშობდნენ, თუმც ამასაც თავისებური გამართლება აქვს, თამაზ ოქრუაშვილის გუნდი კადეტთა ასაკიდან ერთადაა, ბრაიკოვიჩმა კი ნაირგვარი გუნდებიდან მოიხმო ეროვნული ნაკრების კანდიდატები.

მაგრამ მთავარი არც ისაა, ვინ შეკრულად თამაშობდა და ვინ არა — საქმე ისაა, რომ ხვალ პატარა ნაკრები ფინალური ტურნირის სათამაშოდ ესპანეთში მიფრინავს, დიდ ნაკრებს კი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებელი შეკრებაც სათუო გაუხდა. ფედერაცია ამბობს, იტალიაში უეჭველად მივდივართო, მაგრამ თავად გუნდში აეჭვებთ ეს.

ცოტა მოთმინება და ყველაფერი გაცხადდება, ისიც, ვის წაიყვანს ბრაიკოვიჩი იტალიაში ამა თუ იმ მიზეზით ნაკრებსგარეთ დარჩენილი ლეგიონერების ნაცვლად. აქამდე ამბობდა, აქაურებს 3-4 ადგილი გაქვთო. ახლა 6-7 ადგილია. დილმის ბაზაზეც ხალხი მონდომებულია.

ირაკლი პერტაია

გასეირილი გულით ნათქვამი

ჩვენ აქ ისევ დავბრუნდებით

„ჩვენ აქ ისევ დავბრუნდებით“ — ასე იქადნებოდა მარია შარაპოვასგან უიმბლდონურ ფინალში ძლეული სერენა უილიამსი.

ალბათ განსაკუთრებული ახსნა არ სჭირდება იმას, თუ ვის გულისხმობდა სერენა ნაცვალსახელ „ჩვენ“-ში.

მაინც დავაზუსტოთ? — ცხადია, საკუთარ თავსა და თავის უფროს დაიკო ვინუსს, რომელთაც, სანამ ლაწირაკი რუსგოგო გამოჩნდებოდა, მთელი ოთხი სეზონის განმავლობაში ოჯახურად ეპყრათ უიმბლდონური ტიტული, ვინუსს 2000-01, სერენას კი 2002-03 წლებში.

„ჩვენ კიდევ ბევრი წელი დაგვრჩენია და რაკილა აქ თამაში არასოდეს გვიჭირდა, დღეს დაკარგული ტიტულის დაბრუნება ჩვენთვის მხოლოდ დროის ამბავი იქნება“ — დასძენდა სერენა.

„ჩემ და ჩემი დის წინააღმდეგ, როგორც წესი, ყველა თავისი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას ცდილობს, ასე რომ, ვიცოდი, შარაპოვა დღეს თავს არ დაზოგავდა. ჰოდა, არც არაფერი გამკვირვებია. სხვათა შორის, ის ჩემსავით თამაშობს — უკან არ იხევს და ბოლომდე გაწვება.“

ეწყინა თუ არა ეს მარცხი? — რასაკვირველია, და თან ძალიან მაგრადაც. მას ხომ ტურნირის ზედიზედ მესამედ მოგებისას ამ თვალსაზრისით თვით .შტეფი გრაფთან გათანაბრებაც შეეძლო, ვინაც წლის საზეო ტურნირი მიჯრით სამჯერ 1991-93 წლებში დაიწიოკა.

„ჰო, ამ წაგების გადატანა იოლი სულაც არ არის. განსაკუთრებით ჩემთვის, რადგანაც მოგებაზე მეტად არაფერი მიყვარს.“

მაგრამ სერენა არ ცდილა, ეს მარცხი ვინმეზე ან რამეზე გადაებრალებინა, მას ისიც კი არ უხსენებია, რომ შარშან აგვისტოში მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ დაბრუნებულმა უიმბლდონამდე მხოლოდ ხუთ ტურნირზე მოასწრო გამოსვლა.

„ჩვენ ყველაფერი ერთბაშად გვინდა — ამბობდა ის — მყისვე საუკეთესო ფორმაში შესვლას ვცდილობთ და მოგების მეტს არაფერს ველით. მაგრამ საამუიმბლდონოდ იმის ოცი პროცენტიც კი არ მქონდა „აკრეფილი“, რასაც ჩვეულებრივ ჩემს საუკეთესო ფორმას ვეძახი.“

„ამ უიმბლდონის მერე ისევ საკარჯიშო კორტებს მივაკითხავ და მოწოდების, ხელწაღმის, ხელუკუღმის და საერთოდ ყველა სათამაშო კომპონენტის დახვეწას ვეცდები.“

„რაც უკანასკნელ მატჩებში ვაკეთე, იმის გაკეთება რომ გაცილებით უკეთესად შემიძლია, ეს ყველამ კარგად იცის. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გაცილებით დიდი პოტენცია მაქვს და მეც ძალიან მინდა, უახლოეს მომავალში ყოველივე ეს სრულად გამოვავლინო.“

„მხოლოდ ფინალში თამაში ჩემთვის საკმარისი არასოდეს ყოფილა.“

რაც შეეხება შარაპოვას ნამატჩევ ბოდიშს, აქაოდა, მაპატიე, სერენა, ტიტულის წართმევა რომ მომიხდაო, თავად სერენა არაგულწრფელობად მიიჩნევს. „ასეთ მომენტში საბოდიშო არაფერი გაქვს. მე სრულიადაც არ მებოდიშებინებოდა, როცა ორი წლის წინ ტიტული საკუთარ დას წავართვი.“

ხოლო შარაპოვას ბოდიშის იმ ნაწილს — მხოლოდ ერთი წლითო — სერენა სავსებით ეთანხმება. აი, ამაში კი ნაღდად მართალიაო.

თუმცა მანამ, სანამ შურს იძიებდეს, ვინუსის უმცროს დაიკოს კვლავაც დიდხანს გაუსერავს გულს გასული შაბათის მოგონებანი.

„ჰო, ეს ის ამბავია, რაც მე ძალიან არ მომწონს. მე არ შემიძლია აქ მშვიდად ჯდომა და უსაგნო ბჟუტური განყენებულ თემებზე, რადგანაც მარტო არ მომწონს კი არა, უბრალოდ, ვერ ვიტან დამარცხებას.“

ცვრიან ბალახზე



როჯერ ფედერერი, ენდი როდიკთან 4:6, 7:5, 7:6 (7:3), 6:4 მოგებული ფინალის შემდეგ, ჰალალად აღიარებდა, რომ მესამე სეტში, მისი მეტოქის სასარგებლოდ 4:2-ისას მოსულმა წვიმამ მას აზრზე მოსვლისა და სწორი ტაქტიკის შერჩევის საშუალება მისცა.

„ენდი ძალიან კარგად თამაშობდა — თქვა ბ-ნ — მას წნეხის ქვეშ ვყავდი მოქცეული და ამ მომენტამდე აშკარად მჯობნიდა. მე ვერ ვახერხებდი ისეთ თამაშს, როგორც მსურდა. წვიმის დროს კი ცოტა დავწყნარდი და ისე განვსაჯე, რომ ყოველი გათამაშებისას უკანახაზიდან ხანგრძლივ გლაჯუნში ჩართვას — რის დროსაც ის ჩემზე რისკიანად ბურთაობდა — ბადესთან უფრო ხშირი თამაში მერჩივნა. ძალიან მეამაყება, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი გამოდგა და მატჩში გარდატეხის შეტანა შევძელი.“

„პირველ სეტში კი ის უსწრაფესად აწოდებდა, საშუალოდ თითქმის საათში ათი მილით უფრო სწრაფად, ვიდრე მერე. თავიდანვე რომ კუთხეში მომაქცია, სწორედ ამ მოწოდების გამო იყო. ის მეორე მოწოდებასაც კი სადღაც საათში 120 მილის სიჩქარით აბრახუნებდა.“

წვიმის მერე კი ვითარება შეიცვალა — ფედერერმა მატჩის სადავეები უკუიპყრო და თავის მესამე სლემფინალში მესამეევ სლემტიტული უპრობლემოდ მიითვალა.

„საფინალო მოგებათა პროცენტულ მაჩვენებელს მართლაც არა უშავს — ხარობდა მერე — ჩანს, საჭირო დროს მთელი ძალების კონცენტრირება და თან სიმშვიდის შენარჩუნება სხვებზე უკეთ გამომდის.“

„ავსტრალიის ღია პირველობაზე მოგების შემდეგ ჩემს თავს ვუთხარი — მორჩა, მოგებულები რჩებიან, წაგებული მიდიან-მეთქი. მე არ მინდა, ერთი იმათგანი ვიყო, ვისაც წასვლა მოუწევს.“

„ეს მოგება ისევე განვიცადე, როგორც შარშანდელი — ისევ მუხლებზე დავეცი და ისევ ავტირდი, რადგანაც მომხდარის დაჯერება ამ ჯერზეც მიჭირდა. თანაც წლეულს ალბათ კიდევ უფრო დიდი სიხარული ვიგრძენი — რადგანაც ის, ტიტულის მოხვეჭაზე მეტად მისი შენარჩუნება რომ უფრო რთულია, ყველამ იცის.“

მისი მომავალი გეგმა კი ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლაა. „ყოველთვის ვოცნებობდი იმაზე, რომ ჩემი ქვეყანა წარმედგინა და მისი სახელით მედალი მომეგო. ოთხი წლის წინ ცოტა დამაკლდა, როცა ნახევარფინალში ტომი ჰაასთან დავმარცხდი. იმედია, წლეულს ერთი ნაბიჯით მაინც წავიწევ წინ.“

ენდი — მიმართულების პროდიუსერი



ენდი როდიკი ფიქრობს, რომ საკვირაო ფინალში მთელ დუნიას დაუმტკიცა — როჯერ ფედერერი უძლეველი მეჩოგნე სულაც არ არის.

„დღევანდელი მარცხი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი წაგებულია — ამბობდა ის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე — მე კაცურად ვიომე და ყველას ვაჩვენე, მისი დამარცხებაც რომ შეიძლება. თუმცა ვერც იმას უარვყოფ, რომ მას მართლაც საოცარი აურა აქვს. ის ზღაპრული მოთამაშეა და ამაზე ვერავინ იდავებს.“

სხვათა შორის, ფედერერის ზღაპრული თამაში ენდიბომ თავის ტყავზე პირველად არ გამოსცადა — ეს მათი მეშვიდე შეხლა იყო და 22 წლის შვეიცარიელი წლით უმცროს იანკის უკვე 6:1 უგებს. უიმბლდონზე კი მან როდიკს მეორედ მოუგო. ეგებ თქვენც გახსოვდეთ, შარშანდელ ნახევარფინალში მისთვის სეტიც არ დაუთმია, ისე გადაურბინა.

როდიკი: „რაც მთავარია, ის ყველაფერს საოცრად მსუბუქად და ძალდაუტანებლად აკეთებს. არაფრისგან რაღაცის შექმნა შეუძლია და უძნელესი სიტუაციებიდანაც თავს ისე უპრობლემოდ იძვრენს, როგორც ვერავინ სხვა.“

„დღეს მე საჭირო მიმართულებით გადავდგი ნაბიჯი. ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამის გაუმჯობესება შემიძლია, მთავარია, ფოკუსირება შევძლო.“

„ამ მატჩში კი ყველაფერი იმან გადაწყვიტა, რომ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გათამაშება ვერ მოვიგე. თორემ ჯამში ყველაფერი რიგიანად გამომდიოდა.“

„ის კი ყოველთვის ახერხებს, შენს თანაბრად ითამაშოს და არასოდეს მოგცეს ტკბობის შანსი იმის შეგრძნებით, რომ მასზე მაღლა ხარ.“

ტოდი – რეკორდი

33 წლის ავსტრალიელმა ტოდ ვუდბრიჯმა შვედიონას ბიორკმანთან ერთად ავსტრიელი იულიან ნოულისა და სერბჩერნიგორიელი ნენად ზიმონიჩის წყვილს უიმბლდონურ წყვილთა ფინალში 6:1, 6:4, 4:6, 6:4 აჯობა და კარიერის მეცხრე საიქაო ჯუფტიტული ირგუნა. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ტურნირის სარეკორდო მაჩვენებელია.

ვუდბრიჯამდე რვა ჯუფტიტულს დაიკვეხდნენ ბრიტანელი ძმები დოჰერტები — ლორი და რეგი, რომელთაც მშობლიური სლემტურნირის წყვილთა შეჯიბრი 1997-1905 წლებში რვაჯერ ააოხრეს.

სხვაფრივ — ქალთა წყვილებში ზიმბაბველმა კარა ბლეკმა და ავსტრალიელმა რენე სტაბსმა იმარჯვეს. ფინალში ისინი სამხრეთაფრიკელ ლიზელ ჰუბერსა და იაპონელ აი სუგიამას მოერივნენ 6:3, 7:6 (7:5). შერეულთა შორის კი იმავ კარას სატიტულედ ძმა



იონას ბიორკმანი და ტოდ ვუდბრიჯი

უეინი შეეხიდა და 3:6, 7:6 (10:8), 6:4 მოაგებინა ვუდბრიჯისა და ალიშა მოლიკის ავსტრალიურ ჯუფთთან.

ლევან კელაურაძე

ტურ დე ფრანსი 2004

II ეტაპი. 5 ივლისი

ლიეჟი — შარლერუა

1. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) 4სთ 18წთ 39წმ
2. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) — იგივე დრო
3. ჟან ნაზონი (საფრანგეთი, AG2R) — იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) 9სთ 5წთ 42წმ
2. ფაბიან კანელარა (შვეიცარია, ფასა ბორტოლო) +8წთ
3. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) +17

ჩვეულებრივი პარია და უჩვეულო ნორვეგიელი

ტურ დე ფრანსის 101-წლიან ისტორიაში პირველადაა, ლიდერის ყვითელი მაისურა ნორვეგიელმა რომ მოიგო. აგრიკოლელმა ტორ ჰუსვოდმა „ტურის“ მე-2 ეტაპი, მართალია, ვერ მოიგო, მაგრამ მეორე ადგილიც საკმარისი აღმოჩნდა საერთო ჩათვლაში დასაწინაურებლად.

„ჩემი უდიდესი ოცნება იყო, მომერგო ყვითელი მაისურა და დღეს ეს უკვე რეალობაა“ — ბედნიერი იყო ჰუსვოდი, რომელსაც ველორბილის მართლაც ოსტატები უახლოეს დღეებში ალბათ გახდიან ლიდერის მაისურას.

ტურის მე-2 ეტაპს უმასპინძლა შარლერუადან ნამურამდე გაჭიმულმა 197-კილომეტრიანმა გზამ, რომელიც რბოლის სხვა ეტაპებთან შედარებით საკმაოდ უსაფრთხოა, მაგრამ ერთი მონაწილე მაინც იმსხვერპლა.

ფინიშამდე 35 კილომეტრიღა იყო, იტალიელმა მატეო ფავჯინიმ „რკინის ბედაური“ რომ ვერ დაიმორჩილა, გზის პირას მობიბინე ჯეეჯილში შევარდა და ინერციით ისევ ტრასაზე შემოვარდნილმა რამდენიმე მრბოლიც ამოაყირავა. წარმოიქმნა ზომიერი ზედოხორა, საიდანაც წაგებული მხოლოდ ფავჯინი გამოვიდა — მუხლი დაიზიანა და ჰოსპიტალში გააქანეს.

ამდენი ვილაპარაკეთ და გამარჯვებულზე არაფერი გვითქვამს. მე-2 ეტაპი საკმაოდ დაძაბულ რბოლაში ავსტრალიელმა რობი მაკივენმა მოიგო, ვინაც დიდი ენერგია და მანევრირების უნარი გამოავლინა ფინიშთან. მაკივენმა რბოლის ბოლოს სხვებზე სწრაფად ატრიალა სატურფულები, ფინიშთან მიჭრილი კარგა მოზრდილი ჰელოტონი სამი ველოსიპედის სიგრძეზე ჩამოიშორა და საფინიშო ლენტაც ხელებშემართულმა გაარღვია.

REUTERS ნამურიდან

რობი მაკივენის ფინიშში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიკალური რეკორდისთვის მრბოლმა ლენს არმსტრონგმა კი ფინიში მრავალ თანამრბოლთან ერთად გადაკვეთა და საერთო ჩათვლაში, ასე ვთქვათ, კუდზე აზის მოლიდერე ტრიოს.

ირაკლი პერტაია

მსოფლიოს ჩემპიონატი



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ვაი, რა კაცი წაიქცა: ვალენტინო როსის ბედაურმა უმუხთლა

მაკოტო ტამადას პირველი ტრიუმფი

რიოში ტამადამ ითამადა

უიშვიათესი ამბავი: გუშინწინ რიო დე ჟანეიროში ბრაზილიის დიდი პრიზისთვის ბრძოლისას ტრასაზე დაეცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვალენტინო როსი. 25 წლის იტალიელი „მოტო-შუმახერი“ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ მეფორმულე ნელსონ პიკეს სახელობის ტრეკზე შუა რბოლისას, მართალია, პირველ პოზიციაზე ვერ იყო, მაგრამ არც ისე უკან, მორიგი გამარჯვების შანსი რომ არ ჰქონოდა.

ასეა, ზოგჯერ დიადებიც ეცემიან. თუმც ვალენტინო გამოეთიშა ერთ კონკრეტულ ეტაპს და არა საჩემპიონო ბრძოლას. მან ესპანელ სეტე გიბერნაუსთან ერთად შეინარჩუნა თანალიდერობა საერთო ჩათვლაში, რადგან ისიც წაქცევის გამო გამოაკლდა ნაადრევად ქარავანს.

გამარჯვება კი რიოს ხუთკილომეტრიან რთულ ტრეკზე 27 წლის იაპონელმა მაკოტო ტამადამ იზეიმა, რომლისთვისაც ეს პირველი ტრიუმფია „სამეფო მოტო კლასში“ ჩატარებულ 22 რბოლაში. მოგებამ ტამადას 25 ქულა კი მოაპოვებინა, მაგრამ საერთო ჩათვლაში ბევრი ვერაფერი შემატა — მხოლოდ მეათე ადგილამდე აინაცვლა და ლიდერებს კვლავაც გვარიანი, 82-ქულიანი სხვაობით ჩამორჩება.

მეექვსე ეტაპი. ჰოლანდია

„ასენი“ — 6049 მ

მოტო გრან პრი

1 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) 36 წთ; 11,5	1 მაკოტო თამადა (იაპონია, ჰონდა) 44 წთ; 21,4
2 სეტე გიბერნაუ (ესპანეთი, ჰონდა) ჩამორჩა 0,5	2 მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა) ჩამორჩა 2,0
3 მარკო მელანდრი (იტალია, იამაჰა) 9,9	3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, ჰონდა) 5,7

საერთო ჩათვლა

1 როსი 126 ქულა; 2 გიბერნაუ 126; 3 ბიაჯი 113; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, ჰონდა) 64; 5 კარლოს ჩეკა (ესპანეთი, იამაჰა) 62

250 სმ³

1 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 37 წთ; 26,6	1 მანუელ პოჯიალი (სან მარინო, აპრილია) 41 წთ; 56,6
2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა) 2,6	2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ჰონდა) 0,1
3 ანტონიო ელიასი (ესპანეთი, ჰონდა) 4,0	3 ანტონიო ელიასი (ესპანეთი, ჰონდა) 3,8

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 130 ქულა; 2 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, აპრილია) 119; 3 პორტო 88; 4 ელიასი 86; 5 ა. ნიეტო 75

125 სმ³

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, დერბი) 37 წთ; 13,9	1 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, აპრილია) 41 წთ; 41,5
2 რობერტო ლოკატელი (იტალია, აპრილია) 0,2	2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 0,1
3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) 0,6	3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰონდა) 0,2

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 96 ქულა; 2 ბარბერა 74; 3 ლოკატელი 73; 4 სტოუნერი 68; 5 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, აპრილია) 55

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ნახევარფინალი

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)
0,5:0,5 0,5:0,5 0,5:0,5 0,5:0,5

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)
0,5:0,5 0,5:0,5 0,5:0,5 0:1

ჯან კასიმჯან...

ჩემპიონატის რეიტინგსიაში მეორემ, მაიკლ ადამსმა 17 წლის თეიმურაზ რაჯაბოვს 2,5:1,5 მოუგო და ფინალში გავიდა. ალბიონელის ფინალისტობაში თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, თუმც ასე თუ გაუჭირდებოდა, ვინ იფიქრებდა. ბაქოელი ვუნდერკინდი ბოლომდე ებრძოლა სახელოვან ინგლისელს, მაგრამ პირველ მატჩში დაშვებული შეცდომის გამოსწორება ვეღარ შეძლო.

მეოთხე მატჩში რაჯაბოვს ძალა და გონება არ დაუზოგავს, თითქმის მთელი პარტიის განმავლობაში ცდილობდა, როგორმე გაერღვია ინგლისელის დაცვის კედელი, თუმც არაფერი გამოუვიდა და 44-ე სვლაზე ხელები ასწია.

მეორე წყვილის შედეგმა კი ყველა გააოგნა. ნახევარფინალამდე ტოპალოვს 10 მატჩიდან 9 მოეგო, ერთი კი ყაიმით დაესრულებინა და რეიტინგსიაში 28-ე ნომერ კასიმჯანოვთან მის იოლ გამარჯვებას ელოდნენ. თუმც, როგორც ჩანს, ტოპალოვს წინა თამაშებში შემოეხარჯა მთელი ძალა და ჯერ კიდევ უსახელო უზბეკთან ზედიზედ ოთხი ყაიმი ითამაშა.

ბოლო პარტია ტოპალოვმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, კასიმჯანოვმა კი მხედარი f6-ით უპასუხა. უზბეკმა თავიდანვე შეუტია, ფიგურების გაცვლას შეუდგა და დაფაზე მეტოქეს ხეირიანი მანევრირების საშუალება არ მისცა. მე-20 სვლაზე ტოპალოვი ეტლებით დაიძრა წინ, მაგრამ ამ დროს მეტოქის ეტლებს შეეფეთა და ისღა რჩებოდა, ფიგურები გაეცვალათ.



ახლახან თეთრმა ლაზიერმა პაიკი მოკლა

ამის შემდეგ მოწინააღმდეგეები დროებით მოეშვნენ და სტრატეგიული ჭიდილი განაგრძეს. 38-ე სვლაზე თეთრი ლაზიერი შავების ტერიტორიაზე შეიჭრა, h6-ზე მდგარი პაიკი მოკლა და შავი ხელმწიფის დასაშამათებლად მხედარი იხმო. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უზბეკი, თუმც ყურები არ ჩამოუყრია, მომდევნო სვლაზე თავად გაუშვა ლაზიერი იერიშზე, რომელმაც განუწყვეტელი ქიშებით გასაქანი არ მისცა თეთრ ხელმწიფეს და მეტოქე აიძულა, ზავი ეთხოვა.

მეორე ფინალისტი წუხელ ტაიბრეიკებში გაირკვეოდა.

ლაშა გეგეჭკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკურთხია. ძმაო

ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე შეგრიალებულა 41 „ფერარი", რომლებსაც პაპის კურთხევით აკურთხებენ. ეს ავტოები კატასტროფაში არასდროს მოხვდებიან?

REUTERS ვატიკანიდან

REUTERS ბეირუთიდან

სიხარულის სიმეტრია

ლიბანელებმა როჯერ ფეჰალიმ და ნაბილ ნოჯეიმმა ლიბანის რალი მოიგეს და ხარობენ. ემანდ კაპოტი არ ჩაღუნონ

გაგანავებ შამპანში

ფუ, უზრდელი. სანმარინოელმა მრბოლმა მანუელ პოჯიალიმ რიოს გრან პრი მოიგო და უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

REUTERS ჩიკლაიოდან

ბუენოს დიას, ამიგო

პერუში ჩადიან და ჩადიან კოპა ამერიკას მონაწილეები. აგერ, ეკვადორელთა მწვრთნელი ერნან დარიო გომესი, ჩიკლაიოს აეროპორტში ბალღები ტაშ-ფანდურით დახვდნენ.



REUTERS კალგარიდან

კაცი ბურთით და კაცით

ამერიკული ფეხბურთის წესებსა და გუნდთა რაობაზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, მობურთალთა ვინაობას კი სიამოვნებით გაგიმხელთ: ზემოთ ჰამილტონელი რენარდ ფოქსია, ქვევით კი კალგარელი მაიკ იუპაჩი მოუქცევია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge